ეროვნული ბიბლიოთეკა


# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

28 მაისი შაბათი 1991 № 61 (11694)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 10 კაპ.


# ზვიად გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი



ჩაცხრა ვნებები

როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა.

ქართველმა ხალხმა სწორი არჩევანი გააკეთა – თავის წინამძღოლად აირჩია ეროვნული მოძრაობის თავკაცი, ბატონი ზვიად გამსახურდია.

## ვულოცავთ ბატონ ზვიად გამსახურდიას ხალხის ასეთ დიდ აღიარებას

# 26 მაისს ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნები







როგორც 27 მაისს საქინფორმის კორესპონდენტს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცნობეს, წინასწარი მონაცემებით, არჩევნებში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 82,5 პროცენტი, მათგან კენჭისყრაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა 78,7 პროცენტი.

ამომრჩეველთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა — 86,5 პროცენტი მიიღო ზვიად გამსახურდიამ — პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს“ სპიკერმა, რომელიც თვენახევარის წინათ საქართველოს პრეზიდენტის პოსტზე რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ აირჩია.

ამომრჩეველთა ხმების 7,6 პროცენტი მოაგროვა საქართველოს ეროვნული თანხმობისა და აღორძინების კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ვალერიან ადვაძემ. საქართველოს დამოუკიდებელი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯემალ მიქელაძემ მოაგროვა ხმების 1,6 პროცენტი, საქართველოს სახალხო ფრონტის გამგეობის თავმჯდომარემ ნოდარ ნათაძემ კი — ხმების 1,2 პროცენტი. ინტელექტუალური ასოციაციის „თავისუფალი აზრის“ პრეზიდენტს ირაკლი შენგელაიას ხმა მისცა ამომრჩეველთა 0,8 პროცენტმა. ჟურნალ „ბილავარის“ მთავარ რედაქტორს თამაზ კვაჭანტირაძეს კი — ამომრჩეველთა 0,3 პროცენტმა.

საზღვარგარეთელ მეთვალყურეთა მოწმობით, გვითხრეს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხმის მიცემის დროს რაიმე სერიოზული დარღვევა გამოვლენილი არა ყოფილა.

სურათებზე: საარჩევნო უბანზეა ბატონი თენგიზ ხიგუა; ხმას აძლევს ბატონი აკაკი ასათიანი; ხმის მიცემის შემდეგ ბატონი ზვიად გამსახურდია ოჯახთან ერთად ესტუმრა სვეტიცხოველს.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საპარლამენტო სხვადასხვა

**28 მაისს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა. დეპუტატებმა განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული არაერთი საკითხი და ბოლოს, ტრადიციულად, როგორც ეს პრესაშია ხოლმე აღნიშნული, „განუოფილებაში „სხვადასხვა", რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების აქტუალური საკითხების გამო განცხადებებით და წინადადებებით გამოვიდნენ დეპუტატები"... ამ ზოგადი ფრაზის მიღმა, არცთუ იშვიათად, გაუშუქებელი რჩება მართლაც მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც, დარწმუნებული ვართ, მკითხველთა ინტერესს გამოიწვევს. ამიტომ, რედაქცია დღეიდან სისტემატურად მოგაწვდით „სხვადასხვას" სინქრონულ ჩანაწერებს, ცხადია, შემოკლებულს და მცირეოდენ რედაქტირებულს .**

**გერმანე ფაცაცია:**

ბატონებო, განცხადება, რომელიც მე მინდა გავაკეთო, იქნებ უჩვეულოდ მოგეჩვენოთ დღევანდელ პირობებში, მაგრამ ვფიქრობ მაინც საჭიროა.

მოგახსენებთ, ორთვენახევარი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად ვიმუშავე, კარგად ვხედავ თუ რა არის იმპერიის პოლიტიკის ყველა ნიუანსი. მე და ბატონი ავთანდილ მარგიანი ვცდილობდით, გარდაგვექმნა ეს პარტია, მაგრამ ჩვენ საშინელ წინააღმდეგობას წავაწყდით და ორივენი გადავდექით, თუმცა არსებობს ჩვენი გადადგომის კიდევ ერთი მიზეზიც, რომელიც დღემდე არავინ იცის. ჩვენი გადადგომა უფრო ადრე მომზადდა, იმ დროს, როცა გადავწყვიტეთ, რომ არანაირი პრობლემა არ ყოფილიყო ცენტრალური კომიტეტის შენობის გადაცემის თაობაზე. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა კანონი მრავალპარტიული არჩევნების შესახებ, ცენტრალურ კომიტეტში დავაყენე წინადადება შენობიდან დაუყოვნებლივ გასვლის შესახებ, ვინაიდან, რა შედეგითაც არ უნდა დამთავრებულიყო არჩევნები, კანონი უფლებრივ თანასწორობას ამყარებდა ყველა პოლიტიკური პარტიისათვის. მაშინ გიჟიაო, ჩემზე ითქვა. მოკლედ, ჩვენი, ჩემი და ბატონი ავთანდილის სიგიჟე დამთავრდა იმით, რომ ჩვენ გადავდექით.

გადადგომის შემდეგ კოლექტივის მხარდაჭერით სათავეში ჩავუდექი ინსტიტუტს (იგულისხმება ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი—**რედ.**), სადაც ადრე ვმუშაობდი. თვით ბატონ დევი სტურუას დიდი სურვილიც იყო, რომ ეს ასე მომხდარიყო. ამ ინსტიტუტში ისტორიული კონტექსტის თვალსაზრისით ჩვენს საკანონმდებლო საქმიანობას დიდი ხელშეწყობა ჰქონდა, ვინაიდან ჩვენ გვაქვნდა უმდიდრესი პარტიული არქივი. წლებია ამას ვუწოდეთ ჩვენი ნეგატიური ისტორია. მაგრამ თუ ჩვენ გვსურს ანექსიის შედეგების რეალური ლიკვიდაცია, ჩვენ უსათუოდ უნდა გაგვაჩნდეს ეს არქივი მთლიანი და გახსნილი, ამის თაობაზე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მეშვეობით ორჯერ დავაყენეთ საკითხი; ხოლო თუ როგორ უნდა გარდასახულიყო ეს ინსტიტუტი და გამოსულიყო ცენტრალური კომიტეტის ფინანსური დაქვემდებარებიდან, ამ კონცეფციით მე შევედი ბატონ ზვიად გამსახურდიასთან, რომელმაც დაავალა საკითხის განხილვა ბატონ ნემო ბურჭულაძეს და ორმაბათს, პრეზიდიუმის სხდომაზე მოხდა განხილვა. მე მინდა გულწრფელი მადლობა მოვახსენო პრეზიდიუმის ყველა იმ წევრს, ვინც ესწრებოდა ამ სხდომას. კონცეფცია მოწონებულ იქნა, მაგრამ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბატონი გრიგოლ ონიანი წინ აღუდგა ჩვენს მოსალოდნელ გადაწყვეტილებას, რომელიც ჯერ გაფორმებულიც არ იყო, რომ უზენაესი საბჭოს სტრუქტურაში ყოფილიყო ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ცენტრი. ამ ცენტრის სტრუქტურაში იქნებოდა არა მონოპარტიული, კომპარტიული არქივი, როგორც დღესაა, არამედ იქნებოდა პოლიტიკური პარტიების არქივი, სამეცნიერო კვლევითი განყოფილება და პოლიტიკური მოძრაობის ისტორიის მუზეუმი.

იმის გამო, რომ ცენტრალური კომიტეტი წინ აღუდგა ამ ჩანაფიქრს, მე გუშინ გადავდექი ამ თანამდებობიდანაც — ეროვნული პოლიტიკური ისტორიისა და თეორიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან.

საჭიროა ყველა დეპუტატმა იცოდეს ამ ჩანაფიქრის შესახებ, ჰაერში ნუ გამოვკიდებთ ამ ცენტრის დაფუძნების იდეას, თორემ შეიძლება ისე მოხდეს, რომ მოსკოვმა მთლიანად წაიღოს პარტიული არქივი; თქვას, რომ ეს ჩემი საკუთრებაა და საერთოდ გააქროს აქედან.

**აკაკი ასათიანი:**

გმადლობთ, ჩვენ არამც თუ ცნობად მივიღებთ ამ საკითხს, არამედ შეიძლება კიდეც ვიმსჯელოთ და გადავწყვიტოთ ისე, როგორც ემჯობინება ეს საქართველოსათვის.

●

**როინ მეტრეველი:**

შემომაქვს წინადადება, რომ მომავალი სხდომებიდან რეგულარულად მოვისმინოთ ინფორმაცია დაზარალებულ რაიონებში საგანგებო კომისიის საქმიანობის შესახებ.

**აკაკი ასათიანი:**

აბსოლუტურად მისაღები წინადადებაა და დავავალოთ ამ კომისიას, შემდგომი სხდომიდან მოგვაწოდოს ხოლმე სათანადო ინფორმაცია.

●

**რევაზ კემულარია:**

მე მინდა მოგაწოდოთ ინფორმაცია აფხაზეთში ჯარების ჩამოყვანის შესახებ. გუშინ მე და გაზეთ „აფხაზეთის ხმის" კორესპონდენტი შამილ ცხაკაია ვეწვიეთ „შუქურას" რაიონს (სოხუმის გარეუბანში), სადაც სადესანტო ბატალიონია განლაგებული და როგორც იქნა მოვახერხეთ და დავამყარეთ კონტაქტი ამ ბატალიონის ხელმძღვანელობასთან. მოგეხსენებათ, რომ სოხუმში არის ტურისტული ბაზა „გუმისთა", იქიდან გაყარეს დამსვენებლები და გაათავისუფლეს 500 ადგილი ამ ბატალიონისათვის და იქვე, წინასწარი თქმით, შენდება მოედანი ვერტმფრენებისათვის.

ჩვენ ვიყავით ბატალიონის უფროსთან პოლკოვნიკ კრასოვსკისთან, ამ ბატალიონის პოლიტნაწილის ხელმძღვანელთან პროკოფიევთან. მათი თქმით, ისინი ჩამოვიდნენ ბალტიისპირეთიდან თითქოსდა იმ მიზეზით, რომ ჟენევის კონვენციის მიხედვით ისინი ტოვებენ ევროპის ახლომახლო ტერიტორიებს. შეკითხვაზე, შეთანხმებულია თუ არა მათი ჩამოსვლა საქართველოს მთავრობასთან, მათ მიპასუხეს — მთავრობასთან შეთანხმება არ არის, ჩვენ ვასრულებთ მინისტრ იაზოვის ბრძანებასო. როცა ჩვენ მათ ვკითხეთ, ხომ არ არის თქვენი ჩამოსვლა დაკავშირებული ტურბაზის ტერიტორიაზე მოედნის მშენებლობასთან, მათ გვიპასუხეს, რომ ამის შესახებ არაფერი იციან და არც აპირებენ ტურბაზის ტერიტორიაზე შესვლას. ე. ი. მოსალოდნელია კიდევ სხვა ნაწილების შემოსვლა ტურბაზაში გამოთავისუფლებულ 720 ადგილის დასაკავებლად. ჯერჯერობით კი ჩამოსულია 320-მდე კაცი...

კიდევ ერთი, ისინი ძალზე გააღიზიანა ჩემმა ქართველობამ. საყვედურიც კი მითხრეს, თითქოს საქართველოს ტელევიზიით გამოსულმა ერთ-ერთმა მოქალაქემ შეურაცხყოფა მიაყენა აფხაზეთში დისლოცირებულ ჯარს (მე არ მქონდა ეს გადაცემა ნანახი და ვერაფერი ვუპასუხე). ჩვენს კითხვაზე ხომ არ გამოვიდოდნენ ისინი საქართველოს ტელევიზიით და თავად ხომ არ მოახსენებდნენ საზოგადოებას მათი ჩამოსვლის მიზეზს, მათ გვიპასუხეს, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლია მხოლოდ გენერალს. ჩვენ სამწუხაროდ გენერალს ვერ შევხვდით, მაგრამ ვინაობა კი გავიგეთ — ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლის მოადგილე გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი მურიეოვი, (შესაძლოა გვარი არასწორადაა დასახელებული — **რედ.**) რომელიც ახლაც აფხაზეთში იმყოფება.

●

**ვიქტორ დომუხოვსკი:**

მე მინდა დავაყენო საკითხი იმის შესახებ, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო გამოყოფილია სსრკ-ს, ჩვენი პრეზიდენტობის კანდიდატები დახმარებისათვის მიმართავენ საბჭოთა კავშირს, თითქოს საქართველოში არადემოკრატიულად ტარდება საპრეზიდენტო კამპანია. კერძოდ, 19 მაისს ლენინგრადის ტელევიზიამ აჩვენა გადაცემა, რომელშიც ბატონმა ვალერიან ადვაძემ შეურაცხყოფა მიაყენა ბატონ პრეზიდენტს. თვითონ ლენინგრადში კი ამგვარი გადაცემები ქმნის ისეთ საზოგადოებრივ აზრს, რომ თითქოსდა საქართველოში დამყარებულია დიქტატურა და ეს დიქტატურა აპირებს მთელი საბჭოთა კავშირის დაპყრობას. მე მგონი, ჩვენ უნდა მოვითხოვოთ ეს გადაცემა, ვნახოთ და ვიმსჯელოთ მის შესახებ. არ შეიძლება, რომ ვისაც ვებრძვით ჩვენ, მას სთხოვოს დახმარება საქართველოს მოქალაქემ. ბოლოს ბატონმა ვალერიან ადვაძემ თავისი გამოსვლა ასე დაამთავრა, თუ მე ვერ გავიმარჯვე არჩევნებში, საქართველოში ვერ გავჩერდები და მიგრაციაში წავალო...

●

**ალექსანდრე ვარძელაშვილი:**

გუშინწინ სოფელ კოდაში (ქარელის რაიონი) შემოიჭრა ორი „ბეტეერი" (ნომრებით — 217 და 210), უკან შემოჰყვნენ ოსი ექსტრემისტები. შეშინებული ხალხი გამორბოდა მინდვრებიდან და მოხდა კიდევ ერთი მკვლელობა, მოკლეს ახალგაზრდა კაცი იარაღანაშვილი. კაცმა არ იცის, ვისი ხელით მოკვდა ის, სამხედროების თუ ექსტრემისტების ხელით, მაგრამ ერთსა და მეორე შემთხვევაშიც ბრალი მიუძღვით სამხედროებს და ეს საკითხი სამხედრო პროკურატურამ უნდა განიხილოს, მითუმეტეს, რამდენადაც ცნობილია, სამხედროები მთვრალები ყოფილან.

და კიდევ ერთი — ხალხს ძალიან აღიზიანებს კომერციული მაღაზიები, რომლებიც ასე მომრავლდა ჩვენს რესპუბლიკაში. ამ მაღაზიებში, კაცმა არ იცის, საიდან და როგორ იყიდება ის საქონელი, რომელიც შემოდის ჩვენს რესპუბლიკაში. ხალხი ითხოვს, რომ ბოლოსდაბოლოს ეს საკითხი გაირკვეს.

**თარიელ ზედგინიძე:**

მე მესმის, რომ გაჭირვებაა, მოსახლეობა კი, რომელიც არ არის ეკონომიკური პოლიტიკის ნიუანსებში გარკვეული, უკმაყოფილებას გამოთქვამს, თითქოსდა შექმნილი რთული მდგომარეობა კომერციული მაღაზიების მომრავლებამ განაპირობა, სავაჭრო ორგანიზაციებიდან მართლაც ხშირად ხვდება ცენტრალური არხებით მიღებული უცხოური წარმოების პროდუქცია. აქამდე ქორვაჭრების, ახლა კომერციული მაღაზიების ხელში, მაგრამ აქ კანონის დაცვა სამართალდამცავი ორგანოების პრეროგატივაა. ამიტომ ნუ ავყვებით ემოციებს. მრგვალი მაგიდის საარჩევნო კონცეფციაში განვაცხადეთ, რომ ჩვენი იდეალი არის თავისუფალი საბაზრო მეურნეობა და ის, რომ გვინდა შევქმნათ თავისუფალი მეწარმეობის პრეცედენტი, მოითხოვს კანონის უზენაესობის დაცვას. ჩვენ თუ არ ვიცით, თუ რომელ კომერციულ მაღაზიაში ირღვევა კანონი, და მაინც მოვუწოდებთ დეპუტატებს კომერციული მაღაზიების აკრძალვას, ეს გამოიწვევს სავალალო შედეგს. ეს არის უპირველესი გზა დიქტატურისაკენ.

ჩვენ მძიმე მდგომარეობა გვაქვს. ჩვენ იმაზე უნდა ვიზრუნოთ, რომ სახელმწიფო რესურსები მოქალაქეებმა მიიღონ დამტკიცებული ნორმით, დამტკიცებული ზომა-წონის ფარგლებში და ვებრძოლოთ დარღვევებს კანონით. ხოლო ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის ამ ახალ ფორმებს, კომერციული მაღაზია იქნება თუ კოოპერატივები, რაც შეიძლება მეტი ყურადღებით უნდა მოვეპყრათ და დავეხმაროთ, და მათ წინააღმდეგ არ მოვუწოდოთ მოსახლეობას, რომელმაც არ იცის მიზეზი და შედეგი, და შესაძლოა უკუაგდონ ეს საჭირო საქმე. ჩვენ ისედაც ბევრი გვყავს შემმოწმებელი და მათაც გააძვირეს ასე კომერციული მაღაზიები.

●

**ალექსანდრე ქობულაშვილი:**

საკითხი ეხება უზენაესი საბჭოს საქმიანობას და მისი მუშაობის პრობლემებს. უზენაეს საბჭოში ამჟამად 12 კომისიაა შექმნილი, მოქმედებს პრესცენტრი, საინფორმაციო ცენტრი და აგრეთვე უზენაესი საბჭოს სესიის სამდივნო. ყველა ამათ აქვთ მუშაობის რეგლამენტი. კარგი იქნებოდა, შექმნილიყო მთლიანად უზენაესი საბჭოს საქმიანობის რეგლამენტი, რაც უფრო გაგვიადვილებდა მუშაობას.

# უზენაესი საბჭოს სესიის სხდომაზე







ბონდო დადვაძისა და იოსებ დგალიშვილის ფოტოები (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საერთაშორისო ქრონიკა

ინდოეთის ეროვნული კონგრესი ოთხშაბათს აირჩევს ახალ ლიდერს მას შემდეგ, რაც რაჯივ განდის ქვრივმა უარი თქვა, დაეკავებინა პარტიის თავმჯდომარის პოსტი. სონია განდიმ განაცხადა, რომ არ შეუძლია ამ წინადადების მიღება იმ დიდი ტრაგედიის გამო, რომელიც თავს დაატყდა მის ოჯახს.

ვარაუდობენ, რომ პარტიის დროებითი თავმჯდომარე გახდება 69 წლის ვეტერანი პოლიტიკოსი ნარასიმ რაო, თუმცა როგორც ინდოეთის პრესა იუწყება, პარტიის ლიდერები იმედს არ კარგავენ, რომ სონია განდი, წარმოშობით იტალიელი, ბოლოს დათანხმდება, სათავეში ჩაუდგეს პარტიას. ინდოეთის ეროვნული კონგრესი ცდილობს რაც შეიძლება მალე აირჩიოს ახალი ლიდერი; საყოველთაო არჩევნების დანარჩენი ორი ტურის ჩატარებამდე, რომლებიც ივნისშია გადატანილი, სამი კვირა დარჩა.

●

დღეს ბრიუსელში იხსნება ნატოს წევრი ქვეყნების თავდაცვის მინისტრთა ორდღიანი შეხვედრა, სადაც უნდა შეიმუშაონ ჩრდილოატლანტიკური კავშირის ახალი სტრატეგია აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში მომხდარი ცვლილებების გათვალისწინებით.

ვარაუდობენ, რომ თავდაცვის მინისტრები შეთანხმდებიან სწრაფი რეაგირების მრავალეროვნული ძალების შექმნაზე, რომელსაც გამოიყენებენ ნატოს ნებისმიერ ქვეყანაში დაწყებული შესაძლო კრიზისის შემთხვევაში.

●

მოსკოვში ოთხდღიანი ვიზიტით ჩავიდა დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი პრეზიდენტ გორბაჩოვის პირადი მიწვევით. ის შეხვდება საბჭოთა პრემიერ-მინისტრს ვ. პავლოვს, თავდაცვის მინისტრს დ. იაზოვს და სხვა ოფიციალურ პირებს. როგორც ბი-ბი-სის მოსკოველი კორესპონდენტი იუწყება, გორბაჩოვი იმედოვნებს, რომ ტეტჩერი დაეხმარება მას, მიიღოს მოწვევა მსოფლიოს შვიდი წამყვანი ინდუსტრიული ქვეყნის, ე. წ. „დიდი შვიდეულის“ ეკონომიკურ თათბირზე, რომელიც ივლისში ჩატარდება ლონდონში და რომელზედაც საბჭოთა პრეზიდენტს დასავლეთისაგან ფინანსური დახმარების მიღება სურს.

●

დასავლეთში ამჟამად ფართოდ განიხილება მ. გორბაჩოვის თხოვნა საბჭოთა კავშირისათვის 100 მილიარდი დოლარის კრედიტების გამოყოფის შესახებ ეკონომიკური რეფორმების წარმატებით განხორციელებისათვის.

უნდა ითქვას, რომ ისტორიაში არ არსებობს ასეთი პრეცენდენტი — ერთმა ქვეყანამ მიიღოს 100 მილიარდი დოლარი კრედიტების სახით. თვით „მარშალის გეგმა“, რომელიც ევროპის ქვეყნებზე გავრცელდა, ითვალისწინებდა დაახლოებით 60 მილიარდი დოლარის დახმარებას.

გამოჩნდა თეთრი სახლის პირველი რეაქცია გორბაჩოვის თხოვნაზე. პრეზიდენტმა ბუშმა პრესკონფერენციაზე, განაცხადა, რომ მზად არის განიხილოს საბჭოთა კავშირისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევა, მაგრამ მისი აზრით, 100 მილიარდი დოლარი მეტისმეტად დიდი თანხაა.

განსხვავებული შეხედულებისაა ამ მხრივ აშშ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ჯ. რობსონი, რომლის აზრით, საბჭოთა მთავრობამ ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ ნამდვილად დაიწყო ეკონომიკური რეფორმები, სანამ მიიღებს დასავლეთის დახმარებას. რეიტერის სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში მან თქვა, რომ საბჭოთა მთავრობა ჯერ მხოლოდ ლაპარაკობს რეფორმებზე, პრაქტიკულად კი არაფერი გაუკეთებია.

ევროპის ეკონომიკურმა განვითარებამ ბრიუსელში კი უკეთ გადაწყვიტა, განაახლოს საბჭოთა კავშირისათვის სასურსათო დახმარების გაწევა 300 მილიონი დოლარის ფარგლებში, რომელიც შეჩერებული იყო საბჭოთა არმიის მიერ ბალტიისპირეთში განხორციელებული სამხედრო აქციების გამო.

**ირინა თევდორაშვილი**

# თბილისი, 1991 წლის 26 მაისი, აღლუმი და ზეიმი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე





სახელმწიფო დამოუკიდებლობის დღის გამო გამართულ ზეიმთა გვირგვინი გახდა საქართველოს შინაგანი ჯარების — ეროვნული გვარდიის აღლუმი რესპუბლიკის ეროვნულ სტადიონზე, რომელიც მოეწყო სამოცდაათ წელზე მეტი ხნის შესვენების შემდეგ.

ქართველ გვარდიელთა აღლუმის მიღების პატივი წილად ხვდა პოლკოვნიკ გიორგი პაპავაძეს.

სახელმწიფო დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესასწაული ეროვნულ გვარდიას მიულოცა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ.

ნიკორწმინდის არქიეპისკოპოსის, მეუფე ამბროსის მიერ წარმოთქმული ლოცვა, გვარდიისათვის წმინდა გიორგის ხატის გადაცემის რიტუალი, გვარდიელთა მტკიცე ნაბიჯით სვლა და კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი ქორეოგრაფიული ანსამბლები, დიდხანს დარჩება ჩვენს ხსოვნაში.

აღლუმს დაესწრნენ საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი, რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თენგიზ სიგუა და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელები.

**გიორგი კორძაძე.**
**საქინფორმის კორ**

**სერგო ედიშერაშვილის, ანატოლი რუხაძის და ბონდო დვალიშვილის ფოტოები**
**(საქინფორმის ფოტოქრონიკა).**




# თაა

ზუსტად ერთი წლის წინ დაფუძნდა ახალგაზრდული არაპარტიული საზოგადოებრივი ორგანიზაცია „თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაცია“. ყველაფერი კი ეროვნული მოძრაობის ერთი თვალსაჩინო ნაწილისა და კომკავშირელთა შორის პროგრესულად მოაზროვნე მცირერიცხოვანი გუნდის იმედით დაიწყო, იმედით, რომ ეროვნულ საწყისს დაცილებულ ახალგაზრდებს ეყოფოდათ ქართველობა და მოქალაქეობრივი გამბედაობა უარი ეთქვათ კომპარტიის ნათლიმამობაზე, ცენტრის მარწუხებზე და შეექმნათ ყოველგვარი იდეოლოგიური საზურველისაგან თავისუფალი, არაპოლიტიკური, სოციალურ-საქველმოქმედო ორგანიზაცია.

საინიციატივო ჯგუფის მიერ მოწვეულ იქნა კონფერენცია და 1990 წლის მაისში ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბში უნივერსიტეტის სტუდენტთა, რიგით კომკავშირელთა მონაწილეობით დაარსდა თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაცია (თაა). თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაციის წევრები არც არარეგალური და არც შემდგომი არსებობის პერიოდში არ წყვეტდნენ ახალგაზრდობის საჭირბოროტო საკითხებზე ზრუნვას. მათი შრომა უნაყოფო არ გამოდგა. თაა გადაიქცა არაპოლიტიკური, ახალგაზრდული, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების გამაერთიანებლად. დღეს მასში წარმოდგენილია მოძრაობა — ქართველი ახალგაზრდების სამეურნეო-ეკონომიკური საქველმოქმედო ინიციატივა, თავისუფალი ახალგაზრდული გაზეთი „საქმე“, ახალგაზრდული სამეცნიერო შემოქმედებითი საწარმოო კონცერნი „ლილე“ და მრავალი სხვა. მათი საქველმოქმედო საქმიანობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერთა და ხელოვანთა ნაშრომების გამოცემით, ახალგაზრდა ოჯახთა ყოველმხრივ ხელშეწყობით. სტიქიით დაზარალებულ რაიონებში თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაციის ინიციატივით გაიგზავნა სტუდენტური ჯგუფი, რომელიც ჯერ კიდევ სპიტაკში აწარმოებდა მაშველ სამუშაოებს უბედურების ადგილებში. თავისუფალი ახალგაზრდობის ასოციაციის წევრთა ერთი ნაწილი მონაწილეობს უზენაესი საბჭოს კომისიების კანონშემოქმედებით მუშაობაში; სხვანი დაკავებულნი არიან ისეთი პრაქტიკული სოციალ-ეკონომიკური პროგრამების განხორციელებით, როგორიცაა ახალგაზრდული ინიციატივების საინვესტიციო ბანკის ჩამოყალიბება. თაა აქტიურადაა ჩაბმული ახალგაზრდული სპორტის პრობლემების გადაწყვეტაშიც.

### ეროვნული გვარდიის ახალწვეულებს

აი, სად არის საქართველოს სიბრძნე და ძალა!
დაე, მის ორგულს დღე და მკლავი დამოკლებოდეს!
თქვენს შემართებას ჩვენი ლოცვა, რიდი და კრძალვა!
თქვენს გამარჯვებას უფლის მადლი არ მოკლებოდეს!

შემწყნარებელი ერი ვართ და არა დამსჯელი,
დავიცავთ მხოლოდ ჩვენს მიწას და წმინდა ზნეობას.
თქვენი ვალია არ აჰაროთ ქრისტეს მტანჯველი,
ზღვარი დაუდოთ ძალადობას, ელთა ზეობას.

კარგად იცოდნენ ჩვენი ძალა ბრძენმა ბერძნებმა:
მზის ღმერთის ძეა კოლხთა მეფე, ჩვენი საწყისი.
ქართველი კაცი სხვის მიწაზე ბედს არ ეძებდა,
თვითონვე ჰქონდა თავის სახლში ოქროს საწმისი.

„გვსურს ვემსახუროთ საქართველოს...“ — მე მჯერა თქვენი,
დავითისა და სააკაძის შთამომავალნო!
გვჯერა, დაიცავთ წმინდა ტაძრებს ივერთა ძენი,
სამომავლოდაც რომ დიდების კვალი გავავლოთ.

აი, სად არის საქართველო, რამაც იელვა
გელათში, გრემში, გარეჯაში, და თქვენს გულებში!
დე, იქირქილოს სულით მწირმა გადამთიელმა! —
უფლის ნებაა ჩვენი ზრახვა, ჩვენი ნუგეში.

სამტრო სისინშიც სიხარულის ცეცხლი გვედება!
გახსოვდეთ, თქვენი მშობელია სათნო და ბრძენი.
ღმერთმა გიკურთხოთ მარჯვენა და სულისკვეთება,
ღმერთმა **გიკურთხოს** მზეჭაბუკი — ჩვენი გვარდია!

**აკაკი ბელთვანი**
**7. II. 1991**

### განცხადება

ცხინვალში, ოსი ექსტრემისტების მიერ მოკლული რეზო ურიდიასა და დათო ზარდიაშვილის სამოქალაქო პანაშვიდისა და სამგლოვიარო მიტინგის პროცესიას 1990 წლის 20 დეკემბერს ქაშუეთის ეკლესიასა და მთავრობის სახლის წინ იღებდნენ ვიდეოკამერებით. პიროვნებებს, ვისაც გააჩნიათ ეს ფირი და ისეთი ფირები, სადაც რეზო ურიდია სიცოცხლეშია გადაღებული, გთხოვთ ვამომეხმაუროთ შემდეგ მისამართზე: **უწერის 22, ლია ურიდია.**
**ტელ: 93-66-13 (დილით). 62-63-04 (საღამოს).**

ასოციაცია „ამაღლების“ მიზანია ეროვნულ-ზნეობრივი იდეალების, წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების აღორძინება-გაწევრიანება, ეროვნული ცნობიერების ამაღლება, ეროვნული კულტურის პროპაგანდა.

ასოციაციას ადმინისტრაციისთვის ესაჭიროება ხუთი ან ოთხი ოთახი (სასურველია იყოს ტელეფონი).

ორგანიზაციებს ან ცალკეულ პირებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით: 99-85-77, 20 სთ-დან.

**ასოციაცია „ამაღლება“**

## ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

# როგორ გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 წლის 26 მაისს

1917 წლის 7 ნოემბერს, როდესაც რუსეთში ბოლშევიკებმა ძალაუფლება ხელში აიღეს, ამიერკავკასიის სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს, მათ გამოეყვნოდნენ და შეექმნათ დროებითი მთავრობა. მათ იმედი ჰქონდათ, რომ ბოლშევიკები დიდ ხანს ვერ შესძლებდნენ ძალაუფლების შენარჩუნებას და რუსეთში აღდგენილი იქნებოდა დემოკრატიული ხელისუფლება.

1917 წლის 15 (28) ნოემბერს შეიქმნა ამიერკავკასიის კომისარიატი, რომელიც ასრულებდა ამ რეგიონის დროებითი მთავრობის ფუნქციებს. კომისარიატის თავმჯდომარედ, შრომისა და საგარეო საქმეების კომისრად არჩეულ იქნა ევგენი გეგეჭკორი.

რუსეთის რევოლუციამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად. გამოიწვია ქართველთა ეროვნული ძალების აქტივიზაცია და კონსოლიდაცია.

1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში მოწვეულ იქნა ეროვნული ყრილობა, რომელსაც ესწრებოდნენ საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. ყრილობა გახსნა აკაკი ჩხენკელმა. რუსეთში, განაცხადა მან, ყველა ერი თვითგამორკვევის მომხრეა და თავის ინტერესებს იცავს, საჭიროა ქართველი ერიც ამავე გზას დაადგეს. ნოე ჟორდანიამ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ საქართველოს ინტერესები გადახლართული იყო რუსეთის ინტერესებთან. ამდენად, „როცა ვარკვევთ ჩვენი ერის მდგომარეობას, გამოვდივართ რუსეთის საერთო ინტერესებიდან“. ნ. ჟორდანიას მიაჩნდა, რომ ახლა საქართველოს წინაშე იგივე დილემა იდგა, რაც ასი წლის წინათ, ე. ი. საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე: „ან დასავლეთი, მაშასადამე, რუსეთი ან აღმოსავლეთი“. ყრილობაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებაზე მოეთხოვათ საქართველოსათვის ფართო თვითმმართველობა, მიეღოთ უფლება — გამოეცათ საკუთარი კანონები, შეექმნათ ეროვნული ადმინისტრაცია, ჯარი, სასამართლო, სკოლები. საქართველოს ეროვნული თვითგამორკვევა უნდა განხორციელებულიყო რუსეთის ფარგლებში პოლიტიკური ავტონომიის აღიარებით. ყრილობის დროს კამათი გაიმართა საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით. ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ეს საკითხი მომწიფებულია. ზოგი კი თვლიდა, რომ ამისათვის ჯერ კიდევ არაა ხელსაყრელი პირობები, რადგანაც ამ დროს კავკასიის ფრონტზე იმყოფებოდა რუსეთის ნახევარმილიონიანი არმია, რომელიც წინ აღუდგებოდა ამ გადაწყვეტილებას. საქართველოს ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, რომელშიაც შევიდნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები, შეიქმნა აღმასკომიც, მის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნ. ჟორდანია. ამრიგად, შეიქმნა ეროვნული ორგანიზაცია, რომელიც მოწოდებული იყო მომავალში გამხდარიყო ხელისუფლების დამფუძნებელი.

პირველი მსოფლიო ომი გრძელდებოდა, მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი. თურქეთი ომში მარცხდებოდა. თურქეთის ინიციატივით დაიწყო მოლაპარაკება ამიერკავკასიის კომისარიატთან და 5(18) დეკემბერს დაიდო დროებითი ზავი, დაზავების შემდეგ დაიწყო რუსეთის ჯარის გამოყვანა თურქეთიდან.

1918 წლის 1 (14) იანვარს თურქეთის მთავრობამ ამიერკავკასიის კომისარიატს მიმართა წინადადებით, დაეწყო მოლაპარაკება საბოლოო საზავო ხელშეკრულების დადების მიზნით. ამიერკავკასიის კომისარიატმა აცნობა თურქეთის მთავრობას, რომ „ჩვენ ვართ რუსეთის რესპუბლიკის შემადგენელი ნაწილი და შეგვიძლია დავიწყოთ მოლაპარაკება ზავის შესახებ, მხოლოდ მას შემდეგ, როცა მივიღებთ რწმუნებას ახლად მოწვეული რუსეთის დამფუძნებელი კრებისაგან“ და პასუხს ამ კვირის შემდეგ აცნობებდნენ.

5 იანვარს დამფუძნებელი კრება დაშლილ იქნა ბოლშევიკების მიერ. ამიერკავკასიის კომისარიატის წინაშე ალტერნატივა დადგა: ან უნდა ეცნო ბოლშევიკების მთავრობა და მასთან ერთად გაემართა საზავო მოლაპარაკება, ან დამოუკიდებლად აწარმოოს მოლაპარაკება თურქეთთან. კომისარიატმა მეორე გზა აირჩია.

ამიერკავკასიის მთავრობამ გადაწყვიტა თურქეთთან მოლაპარაკებაში ჩაება უკრაინის სახალხო რადა და რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირის წარმომადგენლები, მაგრამ ამ ცდას შედეგი არ მოჰყოლია.

ბოლშევიკების მიერ დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგ, ამიერკავკასიის პარტიების ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება შეექმნათ თავისი საკანონმდებლო ორგანო სეიმი (პარლამენტი), რომლის შემადგენლობაში შევიდოდნენ დამფუძნებელი კრების დეპუტატები ამიერკავკასიიდან და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები.

10 (23) თებერვალს მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის სეიმი. სეიმის თავმჯდომარედ აირჩიეს ნიკ. (კარლო) ჩხეიძე. მთავრობის თავმჯდომარედ — ევ. გეგეჭკორი, საგარეო საქმეთა მინისტრად — ა. ჩხენკელი.

17 თებერვალს (2 მარტს) ევ. გეგეჭკორმა ბრესტ-ლიტოვსკიდან მიიღო რუსეთის საბჭოთა საზავო დელეგაციისაგან დეპეშა: „თვითგამორკვევის გზით რუსეთს უნდა ჩამოშორდეს არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები“.

ამ დეპეშამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ამიერკავკასიის მთავრობაში და მან საპროტესტო ნოტა გაუგზავნა: „ამიერკავკასიის მთავრობა ყოველგვარ ხელშეკრულებას, რომელიც შეეხება ამიერკავკასიას, მის საზღვრებს და დადებული იქნება მასთან შეთანხმებისა და მისი მონაწილეობის გარეშე, თვლის ძალა დაკარგულად. ამასთან... ამიერკავკასიის სეიმმა უკვე აირჩია სამშვიდობო დელეგაცია, რომელიც მიემგზავრება ტრაპიზონში თურქეთთან საბოლოო ზავის დასადებად“.

თურქები ჩქარობდნენ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების რეალიზაციას, მათ დაარღვიეს ზავი და შეუდგნენ ქართული და სომხური მიწაწყლის დაპყრობას. 12 თებერვალს დაიკავეს ერზინჯანი, 17 თებერვალს — მამახათუნი და მიუახლოვდნენ ერზრუმსა და ბათუმს.

1 (14) მარტს გაიხსნა ტრაპიზონის კონფერენცია. თურქეთის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვდა ბრესტის ზავის ცნობას და ბათუმის, ყარსისა და არტაანის დათმობას.

23 მარტს (5) აპრილს ამიერკავკასიის დელეგაცია ტერიტორიულ დათმობაზე წავიდა, მაგრამ ეს თურქეთს ეცოტავა და მან დელეგაციას წაუყენა ულტიმატუმი. ასეთ ვითარებაში აკ. ჩხენკელი იძულებული შეიქნა დაეხია და 28 მარტს ეცნო ბრესტის ზავის პირობები.

31 მარტს (13) აპრილს თურქეთის დელეგაციამ აკ. ჩხენკელს აცნობა, რომ „თურქეთის მთავრობამ შეიტყო რა, რომ ამიერკავკასიის დელეგაციამ იცნო ბრესტის ხელშეკრულება, საჭიროდ თვლის მოლაპარაკებაში ჩაებას თავისი მოკავშირეები, ხოლო ამიერკავკასიამ გამოაცხადოს დამოუკიდებლობა“. როგორც ვხედავთ, ახლა ოსმალეთი ამიერკავკასიის დელეგაციისაგან მოითხოვს დამოუკიდებლობის გამოცხადებას.

ამასობაში ოსმალებმა განაახლეს საომარი ოპერაციები და 2 (15) აპრილს დაიკავეს ბათუმი, 4 (17) — ოზურგეთი და მესხეთ-ჯავახეთი.

9 (22) აპრილს სეიმმა მიიღო დადგენილება: გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად. სეიმმა მოისმინა აკ. ჩხენკელის ანგარიში თურქეთთან მოლაპარაკების შესახებ და დაავალა მას გაეგრძელებინა მოლაპარაკება. ჩხენკელი დანიშნულ იქნა მთავრობის თავმჯდომარედ.

თურქეთთან მოლაპარაკების შედეგად შეთანხმდნენ, რომ საზავო კონფერენცია განეახლებინათ ბათუმში.

11 მაისს გაიხსნა ბათუმის კონფერენცია. მასში გარდა თურქეთისა და ამიერკავკასიისა, მონაწილეობას ღებულობდა გერმანიის დელეგაცია, ფონ ლოსოვის მეთაურობით. თურქეთმა ახალი და უფრო მძიმე ტერიტორიალური და სხვა მოთხოვნები წაუყენა ამიერკავკასიის დელეგაციას. ამიერკავკასიის დელეგაციამ უარყო ეს პრეტენზიები. 15 მაისს ოსმალებმა განაახლეს საომარი მოქმედება.

19 მაისს ფონ ლოსოვმა ამიერკავკასიის დელეგაციას აცნობა: „ვინაიდან თქვენსა და ოსმალეთს შორის მოლაპარაკება წინ არ მიიწევს, წინადადებას ვიძლევი მოიხმაროთ ჩემი კეთილი შუამდგომლობა“. ამ წინადადებას დიდი კმაყოფილებით შეხვდა აკ. ჩხენკელი. შექმნილ ვითარებაში ლოსოვის წინადადებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. გერმანიის დელეგაცია არ იყო დაინტერესებული ამიერკავკასიაში თურქეთის პოზიციების ესოდენ გაძლიერებით და ცდილობდა თურქეთის პრეტენზიები შემოეფარგლა ბრესტის ხელშეკრულების პირობებით.

ბათუმში კონფერენციის მსვლელობის დროს კიდევ უფრო გამწვავდა უთანხმოება საქართველოს, სომხეთისა და დელეგაციის მუსლიმურ ნაწილს შორის. მაჰმადიანი დელეგატები თითქმის დაუფარავად გამოდიოდნენ თურქეთის მხარეზე. იყო შემთხვევები, როცა ისინი აშკარად მოითხოვდნენ დელეგაციის დანარჩენი წევრებისაგან უყოყმანოდ მიეღოთ თურქეთის მოთხოვნა. ასეთმა აშკარა ანტიქართულმა და ანტისომხურმა პოზიციამ, არსებითად, შეუძლებელი გახადა კონფერენციის წარმატებით დასრულება და დააყენა საკითხი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა, რის შედეგადაც წარმოიქმნებოდნენ ცალკეული დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ამგვარად, ამიერკავკასიის მთლიანობას საფუძველი გამოეცალა და ამიერკავკასიის რესპუბლიკა განწირული აღმოჩნდა.

ბათუმის კონფერენციაზე შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, აკ. ჩხენკელი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. აკ. ჩხენკელმა მიმართა ნ. ჟორდანიას, ჩამოსულიყო ბათუმში, შექმნილი მდგომარეობის გასარკვევად. „ბათუმიდან მივიღე დეპეშა, იგონებს ნ. ჟორდანია, ჩავედი, დამხვდა შემზარავი სურათი: ერთი მხრით სეიმის დელეგაცია, მეორე მხრით მუსულმანების კერძო დელეგაციები, არ დაგვტოვოთ, ჩვენ თქვენთან ვართ, ევედრებოდნენ ისინი სტამბოლს... მივედით იმ დასკვნამდე, რომ შექმნილი მდგომარეობიდან ერთ-ერთი გამოსავალია: სეიმის დაშლა და სამი ერის მიერ თავ-თავისი დამოუკიდებლობის გამოცხადება. ეს იყო სრულიად მოულოდნელი, არასოდეს არ გათვალისწინებული ამბავი... ამ მისიით დავბრუნდი თფილისში“.

აკ. ჩხენკელი ოსმალეთთან ზავის დადების შეუძლებლობას აბრალებდა მუსავატისტებს, რომლებმაც, თურქებთან თავიანთი სეპარატისტული საქმიანობით ძირი გამოუთხარეს დელეგაციის მუშაობას. ასეთ ვითარებაში, მისი აზრით, საქართველოს სამი შესაძლებლობა ჰქონდა: „ა) საქართველო აზერბაიჯანთან ერთად ერთ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს ნიშნავს თურქების სრულ ბატონობას, რაც მიუღებელია. როცა აზერბაიჯანში თურქები სხედან და იმავ დროს არსებობს ამიერკავკასიის მთავრობა, ეს მოასწავებს ოსმალეთის ბატონობის იურიდიულ ცნობას, რასაც ფაქტიურად დაპყრობა მოჰყვება. ბ) საქართველო სომხეთთან ერთად ადგენს ერთ სახელმწიფოს. არ არსებობს ფაქტიურად სომხეთის სახელმწიფო ამიერკავკასიაში, ვინაიდან თურქების ხელშია, — შეუძლებელია, მაშასადამე, მათთან ერთად-ერთი სახელმწიფოს შექმნა. კიდევაც რომ არსებობდეს ეს ტერიტორია, მაშინაც, არ შეიძლება სომხებთან სახელმწიფოებრივი კავშირი, ვინაიდან ეს მიუღებელია როგორც თურქებისათვის, ისე თათრებისათვის“. დაპყრობა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო აშკარაა. გ) საქართველოს დამოუკიდებლობა — აი ერთად ერთი გამოსავალი“.

აკ. ჩხენკელმა ეს მოსაზრებანი გააცნო ლოსოვს, რომელმაც „კატეგორიულად განაცხადა, რომ დარჩენილია ერთად-ერთი გზა — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მან კიდევაც გაუგზავნა ცნობა თავის მთავრობას, რომ ამიერკავკასია არ არსებობს (ოსმალეთის წინააღმდეგობამ მოსპო ის), არსებობს მხოლოდ საქართველო, რომელიც გამოაცხადებს ხვალვე დამოუკიდებლობას და გთხოვთ ცნობას და მფარველობას“.

აკ. ჩხენკელი ჩქარობდა. 23 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს და აღმასრულებელი კომიტეტის სახელზე გაგზავნილ მიმართვაში წერდა: „მე ვფიქრობ, თქვენ უკვე გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა... ერთ-ერთი გამოსავალი მხოლოდ ესაა, სხვა გზა დახშულია. ეს გზა გვიხსნის ყოველი ხიფათისაგან“. შემდეგ აკ. ჩხენკელი იძლეოდა მითითებებს, რა უნდა გაკეთებულიყო დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ: „საქართველოს მთავრობის პირველი ნაბიჯი შემდეგი უნდა იყოს: მან უნდა თხოვოს გერმანიას მფარველობა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, დადგენილება ამის შესახებ უნდა გადაეცეს გრაფ შულენბურგს — ყველა ეს ხდება საიდუმლოთ. შულენბურგს მიეცემა აქედან ინსტრუქცია, რომლის ძალით ის ამ თქვენს შუამდგომლობას გადასცემს თავის მთავრობას... ის გამოიყვანს თავის პატარა რაზმს ტყვეებისაგან შემდგარს, და [illegible] თურქებს და განუცხადებს, რომ საქართველო უკვე გერმანიის მფარველობის ქვეშ იმყოფება, აქედან თურქებს არა აქვთ უფლება მისი ტერიტორია გადმოლახონ. მთავრობა მიიღებს მეორე დადგენილებასაც, რომ ის ანდობს თავის წარმომადგენელს ბათუმში გაუკეთოს გერმანიის წარმომადგენელს საიდუმლო ხელშეკრულება როგორც მფარველობაზე, ისე ამ მფარველობის იურიდიულ ფორმაზე, აგრეთვე სხვა ხელშეკრულებებსაც დროებითი ხასიათისა, ყოველივე ეს საიდუმლო რჩება“.

აკ. ჩხენკელი აგრეთვე მათ აფრთხილებდა: „არც პრესაში, არც პარლამენტში ცუდათ არ მოიხსენიონ გერმანია, ოსმალეთი, არც მეზობელი ერები, ეს თავ და თავი პირობაა. დიდათ მოსალოდნელია, რომ ოსმალეთი მოისურვებს მაშინვე საქართველოსთან ზავის შეკვრას, ამიტომ მისი გაღიზიანება შეუწყნარებელია. პირიქით გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ჩვენ გვსურს კარგი განწყობილება გვქონდეს მეზობელ სახელმწიფოებთან“.

შემდეგ აკ. ჩხენკელი მიუთითებდა იმ რთულ და მძიმე მდგომარეობაზე, რომელშიაც იმყოფებოდა სამშობლო და მოუწოდებდა ენერგიული ზომები მიეღოთ მის დასაცავად: „კიდევ ვიმეორებ ყოყმანი ამ წუთში დანაშაულია, ჩვენ გვიხსნის მხოლოდ გამბედაობა, სისწრაფე, მტკიცე ნაბიჯები. ყველა ის, ვინც ამ წუთში დაძრავს ენას რუსეთის ორიენტაციის შესახებ, შესაბოჭია. ამ მიმართულების გაზეთები ყველა უნდა დაიხუროს.

ბოლშევიზმი სამშობლოს ღალატია — ესაა ერთ-ერთი თქვენი ლოზუნგი. პანიკა შეუწყნარებელია, საჭიროა შრომის განაწილება, ლაპარაკი და რეზოლუციები დამღუპველია“.

აკ. ჩხენკელის მომდევნო დაუთარიღებელ წერილში საუბარია იმის შესახებ, თუ რა პოზიციას დაიკავებდა ოსმალეთი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში: „დაბეჯითებით არ შეიძლება ითქვას, რას იტყვის ოსმალეთი ამ ფაქტის წინაშე. ზოგიერთი ამბობს, რომ ოსმალეთი კარგათ შეხვდება ამ ამბავს და შეეცდება მოურიგდეს საქართველოს; ზოგიერთი ამბობს, რომ ეს შეუძლებელია. პირველ შემთხვევაში ზავი აქვე შეიძლება შეიკრას, თუ მასში გერმანიის დელეგაცია ურევია; მეორე შემთხვევაში საჭიროა ფორმალური პროტესტი ჯარების შემოსვლის წინააღმდეგ, ბრძოლა ბანდებთან სასტიკი, თუ ისინი თურქეთის სამხედრო ფორმას არ ატარებენ. მეორე შემთხვევაში ფონ ლოსოვი წავა აქედან, რომ პირდაპირ ნახოს ვილჰელმ და კანცლერი, მან მეც უნდა გავყვე, რომ საჩქაროდ იქნას ზომები მიღებული საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად“.

შემდეგ აკ. ჩხენკელი ეხება საქართველოს მომავალი საზღვრების საკითხს: „საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადდეს საზღვრების აღუნუსხავათ. ხსენებული ნოტების თანახმად საქართველოში შედის ბათუმის მხარე, სოხუმის და ზაქათალის ოლქები. მათი ხსენება გამოიწვევს საქმის უმწვერვალესათ გამწვავებას, თუ გამოვტოვებთ, მაშინ ჩვენ თვითონ უარვყოფთ იურიდიულად ჩვენს უფლებას. ეს უნდა მიენდოს საგარეო საქმეთა მინისტრის საიდუმლო მოქმედებას და შეთანხმებას გერმანიის მთავრობასთან“.

24 მაისს ნ. ჟორდანიამ მოიწვია საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. მან დამსწრეებს გააცნო ბათუმის კონფერენციაზე შექმნილი სიტუაცია. ნ. ჟორდანიამ აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის დელეგაცია ოსმალეთის წყალობით იმყოფება კრიტიკულ მდგომარეობაში, საქმე წინ ვერ მიდის. შემდეგ შეეხო ოსმალეთის გეგმებს ამიერკავკასიის მიმართ: „ოსმალეთის წრეებში ყოფილა სამი მიმდინარეობა ამ საგანზე: ერთი, ვეჰიბ ფაშის მეთაურობით, ადგას იმ აზრს, რომ დელეგაციები საზავო მოლაპარაკების დროს უნდა იდგნენ ბრესტის ხელშეკრულების ნიადაგზე. მეორე, ტალაათ ბეის მეთაურობით, — ამიერკავკასიას ჩამოერთვას სხვა ნაწილებიც. ხოლო მესამე — ენვერ ფაშას მეთაურობით, მოითხოვს, ოსმალეთს შეუერთდეს მთელი ამიერკავკასია. ოსმალეთის უკანასკნელი მოთხოვნილებაც ამ ორი ბლოკის აზრების შეერთების ნაყოფია — ეს მოთხოვნები კი არის შემდეგი: სრული შეერთება ხუთი მაზრისა (ახალციხის, ახალქალაქის, გუმბრის, ეჩმიაძინისა და შურო დარალაგოზის), რკინისგზის გადაცემა ოსმალეთის ხელში, სანამ ომი იქნება; ჯარის საჭმელი და ფურაჟი; [illegible] უფლებას იტოვებს, რომ, სადაც არეულობა იქნება, თავისი ჯარი ჩააყენოს, ამას გარდა სულთანი იხსენიებოდეს სამლოცველოებში და სასამართლოებში.

რამდენადაც გამოირკვა, იქნება ანექსია, აზერბაიჯანი გახდება ოსმალეთის პროვინცია. აქ უნდა დასვან ხანად ენვერ ფაშას ძმა — ნური ფაშა, რომელიც მალე განჯაში მოვა. სომხეთის შტატი, მათის აზრით სულ არ უნდა იქნეს ამიერკავკასიაში“.

შემდეგ ნ. ჟორდანიამ ილაპარაკა გერმანიის დელეგაციის პოზიციაზე: „მათ ინსტრუქცია აქვთ, დაიცვან ბრესტის ხელშეკრულება, მხოლოდ საზღვრების შესწორებაზე შეიძლება ლაპარაკი... ფონ ლოსოვმა გვირჩია ჩვენ — ქართველებს, დაუყოვნებლივ გამოვაცხადოთ დამოუკიდებლობა საქართველოსი, ვთხოვოთ გერმანიას, რომ იგი იყოს საქართველოს მფარველი და ეს იქნება ის გზა, რომელიც იხსნის საქართველოს ოსმალეთის შემოსევისგან და დაღუპვისაგან“.

ნ. ჟორდანია დაწვრილებით შეჩერდა იმ სიძნელეებზე, რომელთა მიზეზი იყო მუსულმანი დელეგატების აშკარა და დაუფარავი მოქმედება ოსმალეთის სასარგებლოდ. „ამნაირად, დაასკვნის ნ. ჟორდანია, ამიერკავკასიის მთავრობა მათთან (ოსმალები) არიან, მაშასადამე ამიერკავკასია როგორც ერთი მთლიანი სახელმწიფო, აღარ არსებობს, ფაქტიურად იგი დარღვეულია.“ მიუხედავად ასეთი დასკვნისა, ნ. ჟორდანიამ ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ამ სხდომაზე, არ დასვა საკითხი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ, რასაც ასე დაჟინებით მოითხოვდა აკ. ჩხენკელი თავის წერილებში.

24 მაისს ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა ხალილ ბეიმ უარი განაცხადა ფონ ლოსოვის შუამავლობაზე საზავო მოლაპარაკებაში.

25 მაისს ფონ ლოსოვმა აცნობა აკ. ჩხენკელს, რომ იგი უარს აცხადებს თურქეთთან შუამდგომლობაზე და მიემგზავრება ბათუმიდან.

ამასობაში თურქეთის ჯარი განაგრძობდა წინსვლას, შეიჭრა ლორეში და უახლოვდებოდა თბილისს, სამხრეთიდან იგი დედაქალაქს დაშორებული იყო მხოლოდ 60 კილომეტრით.

25 მაისს მოწვეულ იქნა ქ. თბილისის თვითმმართველობის სხდომა, დედაქალაქის თურქთა შემოსევისაგან დასაცავად.

25 მაისს აკ. ჩხენკელი ბათუმიდან გზავნის დეპეშას: „საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმს გადაეცით შემდეგი: „დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომი გაჭიანურება გამოიწვევს გამოუსწორებელ შედეგს. გერმანელების შუამავლობის ცდა არ გამოვიდა. დაგვრჩენია ერთი რამ: თურქების შეტევას დავუპირისპიროთ საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელსაც მხარს დაუჭერს გერმანია“.

25 მაისს საღამოს შედგა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. ნ. ჟორდანიამ დამსწრეთ გააცნო აკ. ჩხენკელის დეპეშისა და წერილის ტექსტი, სადაც იგი თხოულობდა დაუყოვნებლივ გამოეცხადებინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. ნ. ჟორდანიას განმარტებით — სასურველი იქნებოდა, რომ ამ საღამოსვე, 10 საათზე შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმის სხდომა, რომელზედაც გამოცხადდებოდა სეიმის გაუქმება, შემდეგ კი შეიკრიბებოდა ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელზედაც გამოცხადდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა. მაგრამ სეიმის ზოგიერთმა (მუსავატისტები) ფრაქციამ ნ. ჟორდანიას, რომ იგი შეკრებაზე უარს აცხადებს იმ მიზეზით, რომ ეს საკითხი განხილული არა აქვთ, „თუ ქართველებს სურთ დამოუკიდებლობის გამოცხადება, გამოაცხადონ, ჩვენ ხელს არ შევუშლით“. სომხებმა დეპუტატებმა ითხოვეს სხდომის გადადება მეორე დღისათვის, რადგანაც მათ შესამუშავებელი ჰქონდათ განცხადების ტექსტი. გამოითქვა წინადადება — სეიმი შედგეს ხვალ 12 საათზე, რომელზედაც სეიმის დაშლის შემდეგ, შეიკრიბებოდა ეროვნული საბჭო და გამოცხადდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა. გამოითქვა სხვა მოსაზრებაც — რადგანაც ეს ძალიან საჩქაროა, დღესვე გამოცხადდეს საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამ წინადადების კრიტიკით გამოვიდა ნ. ჟორდანია. მისი აზრით, დღეს მიზანშეწონილი არ იქნება დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგანაც სეიმი ჯერ კიდევ დაშლილი არ არის — „ორი მთავრობა იქნება, რაც შეუძლებელია... ამიტომ გამოცხადება გადაიდოს ხვალისთვის“.

ამ ორ ჯგუფს შორის შეთანხმება არ მოხდა, ამიტომ, გაიმართა კენჭის ყრა, ხმების უმრავლესობა (6-4-ის წინააღმდეგ) მიიღეს იმდღესვე დამოუკიდებლობის გამოცხადების მომხრეებმა. ამასთან დაკავშირებით, ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ ის „პასუხისმგებლობას არ კისრულობს მოსალოდნელი შედეგებისას“. მაგრამ აქტის გამოცხადება მაინც გადაიდო მეორე დღისათვის, რადგანაც იგი ჯერ კიდევ შემუშავებული არ იყო და ან ვერ იქნებოდა წაკითხული. რადგანაც დრო არ ითმენდა, ნ. რამიშვილის წინადადებით გადაწყდა, მეორე დღეს, 26 მაისს, დილით 10 საათზე შედგეს სეიმის სხდომა, ხოლო 12 საათზე საბჭოში.

26 მაისს 12 საათსა და 40 წუთზე გაიხსნა ამიერკავკასიის სეიმის სხდომა. სეიმის თავმჯდომარემ კარლო ჩხეიძემ ილაპარაკა თურქეთთან საზავო მოლაპარაკების შესახებ და იმ სირთულეებსა და წინააღმდეგობებზე, რის გამოც ვერ მოხერხდა ზავის დადება და ამიერკავკასიის რესპუბლიკა დაშლილად აღმოჩნდა. [illegible] ყოველ ღონეს ხმარობდა ამიერკავკასიის ინტერესების დასაცავად, მაგრამ როგორც ხედავთ, იყო პირობები, რომელიც აფერხებდა მის მუშაობას, დელეგაციას ძალა მაშინ აქვს, თუ ყოველ მის ნაბიჯს ხალხის გამოძახილი მოჰყვება და თუ პირიქით, ხალხი მას არ ეხმარება და არ თანაუგრძნობს, დელეგაციის მუშაობა ყოვლად წარმოუდგენელია. და აი, ეხლა ჩვენ იმ მდგომარეობაში ვიმყოფებით, როდესაც არავითარი რწმენა არა გვაქვს იმისა, რომ ჩვენი დელეგაციის მუშაობა რაიმე ნაყოფს გამოიღებს. რაც დრო გადის, ამის რწმენა ნაკლები გვაქვს; ზავის ჩამოგდება თანდათან ძნელდება და ამიტომ ამიერკავკასიის მთავრობა დიდ შეცდომას ჩაიდენდა, ეს რომ არ ეთქვა საბოლოოდ. და ჩვენ ვაცხადებთ: არა გვაქვს რწმენა, რომ ზავს შევკრავთ“.

ამ საკითხს ვრცლად შეეხო ირ. (კაკი) წერეთელი. „ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სთქვა მან, ეს ერთობა შეუძლებელი გახდა. ამან კი მოითხოვა გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა. ამ მოკლე დროის გამოირკვა, რომ შემაერთებელი ძალები გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე განმყოფი. ოსმალები მოუახლოვდნენ ჩვენს სახელმწიფოს და შემოიჭრნენ შიგ. ამ დროს ჩვენ ნათლად დავინახეთ, რომ მუსულმანი მცხოვრებნი ჩვენი სახელმწიფოსა მისკენ მიილტვიან, მისკენ მიისწრაფვიან... სახელმწიფოს არსებობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც თვითოეული ერი თავის თავს ამ სახელმწიფოს მკვიდრ შვილად გრძნობს, როდესაც ის თავის თავზე იღებს მის პასუხისმგებლობას.

ერთობა საჭიროა — აი ჩვენი დებულება. მაგრამ თუ ეს დებულება სამართლიანია ხანგრძლივი პერიოდისათვის, ის მართალი არ გამოდგა ამ ჟამად ჩვენთვის. ამიერკავკასიის რესპუბლიკამ ვერ დაიცვა თავისი ინტერესები“.

სიტყვებში გამოსულმა სხვა ფრაქციების დეპუტატებმაც მხარი დაუჭირეს ამიერკავკასიის ფედერაციის გაუქმებას. სეიმმა მიიღო დადგენილება ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლის შესახებ.

26 მაისს, ნაშუადღევს, 4 საათსა და 50 წუთზე მოწვეულ იქნა საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა, რომელიც გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ. დღის წესრიგში იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა. მან დამოუკიდებლობის გამოცხადება მიიჩნია იშვიათ ისტორიულ და, ამასთან ერთად, ტრაგიკულ აქტად. დღეს, განაცხადა ნ. ჟორდანიამ, ამ დარბაზში, მოკვდა ერთი სახელმწიფო და საფუძველი ჩაეყარა მეორე სახელმწიფოს. საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც არსდება დღეს, არ წავა რომელიმე ეროვნების, ხალხისა თუ სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ. მისი მიზანია — დაიცვას თავი თანამედროვე ისტორიულ ქარიშხალში და როდესაც ეს მიზანი მიღწეული იქნება, იგი დახმარების ხელს გაუწვდის იმათაც, რომელთაც ჩვენს ქვეყანასთან ერთად წილად ხვდა დიდი განსაცდელი...

შემდეგ 5 საათსა და 10 წუთზე, ნ. ჟორდანიამ წაიკითხა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „დამოუკიდებლობის აქტი“.

შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. მთავრობა კოალიციური იყო. მის შემადგენლობაში შევიდნენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები, მთავრობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ნოე რამიშვილი.

მთელი საქართველო დღესასწაულობდა ამ ისტორიულ მოვლენას. სამწუხაროდ, სწორედ ამ დღეს თურქეთმა წარუდგინა ამიერკავკასიის დელეგაციას ულტიმატუმი და მოითხოვა პასუხი 72 საათის განმავლობაში, რამაც დისონანსი შეიტანა საერთო განწყობილებაში. ამრიგად, აღდგენილ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობა, მისი სახელმწიფოებრიობა. აღსრულდა ქართველი ხალხის დიდი ხნის წადილი. დაიწყო საქართველოს ისტორიის ახალი ერა.

მიხეილ სვანიძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ვიცოდეთ ჩვენი ისტორია

# „ეჰ! ამერიკა, ამერიკა...“

## კალიფორნია—ამერიკის შეერთებული შტატები

სპეციალურად აგებულ ესტრადაზე იდგა საუცხოო დეკორაცია თეთრად შეღებილი ორი საყრდენი სვეტით. ამ სვეტში ჩამონტაჟებული იყო 15 უდიდესი მონიტორი. სვეტების გვერდით ეკიდა ორი დიდი ეკრანი. ამ მონიტორებსა და ეკრანებზე, შოუს დროს აჩვენებდნენ ნაწყვეტებს ფილმებიდან, რომლებშიც დღევანდელი პრიზის მფლობელები მონაწილეობდნენ. დარბაზში სამი მოძრავი ვიდეო კამერა მუშაობდა (უძრავი ვინ იცის რამდენი იყო). ისინი დამაგრებული იყო უზარმაზარ ამწე „კრანებზე“, რომელთა მოძრაობის ამპლიტუდა მთელ ამ უზარმაზარ დარბაზს წვდებოდა. საკონცერტო ესტრადაზე იმდენნაირი ფერი თამაშობდა, ვერც კი წარმოიდგენდი, რომ განათებას ამდენი შესაძლებლობა აქვს.

ხმის საპარატო მანქანაზე იყო დამონტაჟებული, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერ პავილიონთან დააყენებდნენ. საპარატო სამ ნაწილად იყო გაყოფილი: ხმის საპარატო, ვიდეო ფირების განყოფილება და რეჟისორის სამონტაჟო, სადაც 50 სხვადასხვა ზომის მონიტორი დავთვალეთ. სამონტაჟო კომპიუტერებზეა მოწყობილი და ათასნაირ მანიპულაციებს აკეთებს.

„ჰოლივუდი“ აღჭურვილია არა ტექნიკის უკანასკნელი, არამედ მომავალი სიტყვის მიხედვით (საწყალი ჩვენი კინოსტუდია).

მთელი სამუშაო დღე ზუსტად იყო დაგეგმილი. მოსამსახურე პერსონალი ჩუმად და თავაუღებლად მუშაობდა.

ჩვენ რამდენიმე რეპეტიცია გავიარეთ. პირველად შევხვდით სოლისტს, ტელე და კინოვარსკვლავს, ახალგაზრდა მომღერალს, ჯონ შნაიდერს, რომელსაც მიჰყავდა პროგრამის ნაწილი და ჩვენს სიმღერაში სოლო პარტიის ასრულებდა.

ეს ახოვანი, ულამაზესი „ვარსკვლავი“, ძალიან თავმდაბალი და უბრალო ადამიანი აღმოჩნდა. ჩვენ პირველსავე რეპეტიციაზე დავიმსახურეთ პროგრამის რეჟისორებისა და სხვა მონაწილეთა სიმპათია. როგორც კი ჩვენმა ბიჭებმა ქართულად დასძახეს „თავისუფლება“, დარბაზს ტაში მოსწყდა. მერე სხვა გუნდები ამღერდნენ, მერე ჩვენ მათთან ერთად, შემდეგ მიზანსცენები მიგვანიშნეს, მერე გვასადილეს. საინტერესოა, რომ რეპეტიციაზე არც ერთი „ვარსკვლავი“ არ მოსულა. მათ მაგივრად რეპეტიციას „დუბლიორები“ გადიოდნენ.

ნასადილევს (კონცერტამდე რამდენიმე საათი რჩებოდა) ჩაგვსხეს ძველებურ ტრამვაის მსგავს ავტობუსში, რომელიც რამდენიმე ვაგონისაგან შედგებოდა და დაგვათვალიერებინეს „ჰოლივუდი“.

ვნახეთ ქუჩები, ათასნაირი ხელოვნური მცენარეებითა და ხეებით, დეკორატიული ავტობუსის გაჩერებებით, ძველებური მანქანებით, ტელეფონების კაბინებით, ბარებით, სკვერებით და სხვა. ქუჩებში აშენებულია სახლების მარტო წინა ფასადები, რომელთა ფანჯრებში ჩამონტაჟებულია განათება, ყველა სახლის სახურავზე გაყვანილია წყლის ონკანები, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში წვიმის ეფექტს იძლევა. ყოველივე ეს ისეა გაკეთებული, რომ ნებისმიერ სახლს შეიძლება შეუცვალოთ იერი და ერთი და იგივე ქუჩა გადააკეთოთ საჭიროების მიხედვით.

ახლა ხელოვნური ტყეები, ხიდები, ტბები, უზარმაზარი პავილიონები, სადაც ერთდროულად ათობით ფილმს იღებენ.

ჩვენი „ტრამვაი“ შედგა დაახლოებით 10 მეტრი სიმაღლის ხის „ძველებურ ხიდზე“. ჯერ ხიდის შუა ნაწილი ჩაიწია, მერე ხიდს საყრდენი ბოძები გამოძვრა. ხიდმა დაშლა დაიწყო, ხის მორები წყალში ცვიოდნენ, ატყდა ყვირილი, „ტრამვაი“ ის-ის იყო უნდა გადაბრუნებულიყო, რომ წინა ვაგონი სამშვიდობოს გავიდა და დანარჩენებიც „გაპირევებით გაათრია“. გავედით თუ არა, შვებით ამოვისუნთქეთ, კიდევ კარგი, გაგვაფრთხილეს, რომ ვისაც სუსტი გული აქვს, ექსკურსიაზე ნუ წამოვაო.

ჩვენ „ტრამვაიდან“ ჩამოვედით და დანგრეულ ხიდს შევხედეთ, რომელმაც ჩვენს თვალწინ იწყო აღდგენა და 1 წუთში პირვანდელი სახე მიიღო.

საოცარი ეფექტია. ეს ხიდი სპეციალურად აგეს ფილმის გადასაღებად. მისი აგება 6 მილიონი დოლარი დაჯდა. საბრალო ჩვენი კინოსტუდია, რეჟისორმა პატარა უმნიშვნელო დეკორაცია რომ გააკეთოს, ფული მინისტრთა საბჭოს უნდა სთხოვო, რომელიც ან გამოუყოფს ან არა, მიუხედავად ამისა, რამდენად ნიჭიერი უნდა იყოს ჩვენი ხალხი, რომ ჩვენს პირობებში გადაღებული ფილმები ხშირად ჰოლივუდის ფილმებს სჯობნის კონფესტივალებზე და პრიზებსაც იღებს.

„ჰოლივუდის“ ყველა ქუჩასა და ყველა უბანს თავისი ისტორია აქვს, ეს ის უბნებია, სადაც მსოფლიოში აღიარებულმა რეჟისორებმა და კინომსახიობებმა გადაიღეს ყველა დროის საუკეთესო ფილმები. ჩვენ ამ ფილმებიდან მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი თუ გვინახავს, ვინაიდან მათი უმეტესობა ჩვენს იდეოლოგიას არ შეეფერებოდა. კაცი თუ ქალისაკენ საკოცნელად გაიწევდა, ასეთ ფილმს ჩვენთან არ აჩვენებდნენ, რომ საბჭოეთში დასავლეთიდან გარყვნილება არ შემოეტანათ და „ჩვენი უმანკო სული არ წაეწყმიდათ“. ამან ის შედეგი გამოიღო, რომ ახლა საბჭოეთი (ოფიციალური და არაოფიციალური მონაცემების მიხედვით პროსტიტუციითა და მისი შედეგებით მსოფლიოში პირველ ადგილზე დგას. დიახ! ამას საბჭოთა პრესა აღიარებს).

ჩვენ ჩავუარეთ „ჯუნგლებს“, სადაც ოდესღაც გადაღებულ იქნა „ტარზანი“. ვნახეთ უზარმაზარი ხელოვნური ხეები ლიანებით, სადაც ყვირილით ხიდან-ხეზე გადადიოდა კინომსახიობი ვაისმიულერი — ტარზანი.

ჩვენი „ტრამვაი“ ერთ-ერთ უზარმაზარ პავილიონში შევიდა, რომელიც სპეციალურად აუშენებიათ „შიშის“ ფილმის გადასაღებად. პავილიონში საშინელი ხმაური იყო, ფანჯრებიდან იყურებოდა „ხალხი“ რაღაც საშინელების მოლოდინში, ჩვენს თავზე ზუზუნებდა ვერტმფრენი, რომელსაც ცეცხლი გაუჩნდა. უცებ ვერტმფრენი გადატრიალდა და აალებული, ჩვენგან ხუთიოდე მეტრის მოშორებით ჩამოვარდა. ავარდა ალი, ცეცხლი გაუჩნდა საცხოვრებელ სახლს, ქალების კივილმა შესძრა იქაურობა, „ტრამვაი“ მიდის, ისინი [illegible] რაღაც საშინელი ღრიალი, მოსახვევში ხიდთან, ჩვენგან სულ ახლოს, მულტფილმის პერსონაჟი, მსოფლიოში ყველაზე დიდი „კინგკონგი“ გამოჩნდა. (მისი სიმაღლე 10 მეტრია, წონა — 8 ტონა). პირდაღებული „კინგ-კონგი“ თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, იგი ნამდვილად ცოცხალის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ლამობდა ხიდზე ამოსვლას და ჩვენი „ტრამვაის“ ჩაყლაპვას, მაგრამ მას ხელს უშლიდა ვერტმფრენი, საიდანაც ამ უზარმაზარ დევ-მაიმუნს ტყვიამფრქვევს უშენდნენ. ტყვიისაგან გამწარებული „კინგ-კონგი“ საზარელი ხმით ღრიალებდა, მძიმედ ქშინავდა და საშინელ შთაბეჭდილებას ტოვებდა. ეს იმდენად დამაჯერებლადაა გაკეთებული, რომ ჩვენი ექსკურსანტები „ტრამვაის“ მარცხენა მხარეს მიაწყდნენ, რომ „კინგ-კონგს“ ხელში არ ჩავარდნოდნენ.

ჩვენი „ტრამვაი“ შევიდა მორიგ უზარმაზარ პავილიონში, სადაც ახლახან გადაუღიათ ფილმი ძველ ჩიკაგოზე. ამ პავილიონში მიწისძვრის იმიტაციაა გაკეთებული. „ტრამვაი“ გაჩერდა „მეტროს სადგურთან“, აქ ყველაფერი თავის ადგილზეა, „ხალხი“ ელოდება მეტროს მატარებელს, სადგურში სისუფთავეა, ელექტროტაბლოზე ანთია დრო, რომელიც მატარებლის მოსვლას აჩვენებს, რადიოთი ცხადდება, რომ მატარებელი მალე შემოვა. ის-ის იყო ჩვენი „ტრამვაი“ დაიძრა, რომ დაიწყო საშინელი მიწისძვრა. ჯერ საშინელმა გუგუნმა შესძრა იქაურობა, მერე ჩვენი ვაგონები შეზანზარდა. სირენებმა ყვირილი ატეხეს. ელექტრობოძები წაიქცა, მოხდა მოკლე ჩართვა, გაჩნდა ხანძარი. ჩვენგან მარცხნივ ჯერ მეტროს სადგურის ჭერი გასკდა, მერე ჭერი ნელა-ნელა ჩამოინგრა, ჭერს ჩამოყვა სახანძრო მანქანა, რომელიც ჩვენი ვაგონის გვერდით დავარდა, ამას მოყვა დიდი სახლის ნამსხვრევები, რომელიც ჭერიდან ლოდებად ცვიოდნენ. ჩვენს წინ სწრაფად მომავალი მეტროს მატარებელი ლიანდაგებიდან ამოვარდა, წინა ვაგონი გადატრიალდა და ჩვენს ვაგონს მიეხეთქა, გეგონა ახლა დაგვამტვრევდა სუყველას. ატყდა პანიკა, საშინელი კივილი, ამ დროს მარჯვენა მხარეს მეტროს სადგურის კედელი შემოინგრა და გვირაბში უზარმაზარი მდინარე შემოვარდა, რომელიც სადაცაა ყველას წაგვლეკავდა. მიწა გუგუნებდა, მიწისძვრამ მოიმატა ისე, რომ თავს გვარტყმევინებდა „ტრამვაის“ კედლებზე. მერე უცბად წყალმა დაიკლო, მიწისძვრაც ნელ-ნელა ჩადგა. ჩვენი „ტრამვაი“ დაიძრა, დავტოვეთ ასე დანგრეული მეტრო და სინათლეზე გამოვედით. არა, ამის აღწერა არ შეიძლება, კაცს შეიძლება შიშისაგან მართლა გული გაუსკდეს. „ტრამვაი“ გაჩერდა, ჩვენ შეშინებულებმა შევხედეთ მეტროს გვირაბში, რომელიც უკვე აღდგენილიყო და პირვანდელი სახე მიეღო. ამისათვის თურმე სულ 25 წამია საჭირო (რას არ გააკეთებს კაცის ხელი). ალბათ, ახლანდელი მსოფლიოს წარღვნა თუ ვინმეს წარმოუდგენია, ისეთი იქნება. ამ პავილიონის აშენება, როგორც გვითხრეს, 18 მილიონი დოლარი დაჯდა. საინტერესოა, იმ ფილმმა რა შემოსავალი უნდა შემოიტანოს, რომ ასეთი ხარჯები აანაზღაუროს.

ჩვენმა „ტრამვაიმ“ ჩაუარა პატარა ტბას, ნავზე მეთევზე იჯდა და თევზაობდა. ამ დროს წყლიდან ამოვარდა „კასატკა“ (მტაცებელი ვეშაპის ნაირსახეობა) და ნავი მეთევზესთან ერთად შეახრამუნა. წყალი სულ სისხლით შეიღება. ეს სპეციალურად „შიშის“ ფილმებისათვის გაუკეთებიათ. შემდეგ, როცა პატარა ხიდზე გავდიოდით, „კასატკა“, ჩვენს გვერდით ამოხტა და კინაღამ ჩვენც მიგვაყოლა მეთევზეს.

შემდეგი უბანი იყო საოცრად მდიდრულად მოწყობილი ტეხასელი მილიონერების უბანი. აქ ფილმს იღებდნენ ტეხასელებზე.

მექსიკურ უბანში „მოვიდა“ ხელოვნური წვიმა: მზიანი დარი იდგა, მერე უცბად ჩამობნელდა, ატყდა ჭექა-ქუხილი და წამოვიდა ნამდვილი თქეში, რომელსაც მოყვა ნიაღვრები. მართლა საოცარი შთაბეჭდილებაა. და ყოველივე ეს ისეთი ოსტატობითაა გაკეთებული, რომ მის სიმართლეში ეჭვი არ შეგეპარებათ.

შემდეგ აგვიყვანეს მაღლობზე, სადაც „თოვლიანი მთებია“ აშენებული. „ტრამვაი“ შევიდა დიდ გვირაბში. აქვე მიწისძვრა. „ტრამვაი“ შეინძრა, გვირაბი გასკდა და ისეთი შთაბეჭდილებაა, რომ მანქანა ახლა გადაბრუნდება. მერე დაიწყო მთების ნგრევა... ნამდვილი წარღვნაა.

ვიყავით უცხო პლანეტების პავილიონშიც. ვნახეთ სხვადასხვა ტიპის „ჰუმანოიდები“...

ვერ გეტყვით, როგორ აღწევენ ამნაირ ეფექტებს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, „ჰოლივუდი“ საოცრებაა მსახიობების გარეშეც.

ექსკურსია დამთავრდა. „ტრამვაიმ“ გაოგნებულები საკონცერტო დარბაზთან მიგვიყვანა, სადაც ერთ საათში კონცერტი უნდა დაწყებულიყო. მთელ იმ პატარა „ქუჩაზე“, რომელიც დარბაზისაკენ მიდიოდა, გაწყობილი იყო სუფრები ათასნაირი საჭმელ-სასმელებით (სუფრა უფასო იყო). აქ თავი მოეყარათ მთელ მსოფლიოში სახელგანთქმულ კინოვარსკვლავებსა და ხელოვნების სხვა რჩეულთ. მამაკაცები გამოწყობილნი იყვნენ შავ სმოკინგებში, ქალებს რა ეცვათ, ამას ნამდვილად ვერ აგიწერთ.

ჩვენი ჩოხიანი ბიჭების გამოჩენამ ამ საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია, მსოფლიოს „ვარსკვლავები“ ტაშის გრიალით შეეგებნენ ქართველ ჩოხოსნებს, რომლებმაც განსაკუთრებული კოლორიტი შეიტანეს.

კინაღამ წაგვლეკა ფოტორეპორტიორებისა და ჟურნალისტების ტალღამ, რომლებმაც გამოჩენილ „კინოვარსკვლავებთან“ ერთად ჩვენი გადაღებაც დაიწყეს. მერე ამ რეპორტიორებმა მოინდომეს კონცერტზე შესვლაც, მაგრამ პოლიციამ არ გაუშვა და იყო დიდი ჯახი.

კონცერტის დაწყებამდე ვნახეთ დარბაზი, რომელიც უკვე საკონცერტოდ გაემზადებინათ. მაყურებელი გაწყობილ სუფრასთან იჯდა და ისე უყურებდა შოუს.

მაგიდაზე გადაეფარებინათ სხვადასხვა ფერის სუფრები, რომლებზეც სხვადასხვა ფერის ყვავილები ელაგა... ყვავილებში ვარდები სჭარბობდა. სუფრაზე ეწყო იშვიათი ჭურჭელი და ზედ ათასნაირი ტაბილეულობა და სასმელები ელაგა. ყოველივე ეს, ისეთ ფერებში იყო გადაწყვეტილი და ისე მდიდრულად გამოიყურებოდა, რომ მაყურებელს თვალს მოსჭრიდა.

ამ ფაქტმა გამახსენა ერთი ამბავი: საქართველოში, ერთ-ერთი ფილმის გადაღების დროს, როცა ქეიფის სცენას იღებდნენ, ფილმის დირექტორმა გოჭსა და ქათმებს ნავთი გადაასხა, მოშიებულ მსახიობებს რომ არ შეეჭამათ, ვინაიდან გადაღება ხვალაც უნდა გაგრძელებულიყო და ხარჯს მოერიდა.

ხალხით ნელ-ნელა გაივსო დარბაზი, დადგა შანელის სუნი, ბრილიანტებში აბრჭყვიალდა მთელი დარბაზი. კონცერტი სათაურით: „ჯილდოები ხალხის რჩეულებს“, რომლის პირდაპირი ტრანსლაცია მიმდინარეობდა ამერიკასა და მთელ ევროპაში (გარდა სსრ კავშირისა), დაიწყო.

მსახიობებს ჯილდოებს გადასცემდა 1990 წლის ამერიკის სილამაზის პრიზის მფლობელი, „მისს ამერიკა“, ქერელ გისტი. ეს ულამაზესი „მისი“ მულატია, მაღალი, ტანკენარი, ნამდვილი შავი ბრილიანტია. მისი სილამაზის აღწერას მე ვერ შევძლებ, რადგან ამისთვის არც ნიჭი მეყოფა და არც ნერვები. ვიტყვი მხოლოდ, რომ ვერდის ოპერა „აიდა“ გამახსენდა. მისი მთავარი გმირი—აიდა, სწორედ ასეთი წარმომედგინა, როგორიცაა ქერელ გისტი.

სათითაოდ გამოდიოდნენ მსახიობები და სანამ ჯილდოს მიიღებდნენ, უზარმაზარ ეკრანებსა და მონიტორებზე აჩვენებდნენ ფრაგმენტებს მათი კინოფილმებიდან. მერე ისინი ყვებოდნენ კურიოზულ ამბებს მათი ცხოვრებიდან და იყო ერთი სიცილ-ხარხარი.

ანზორ ერქომაიშვილი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 51, 52, 53, 54, 55, 56; 57, 58, 59.

სპორტი

# სიამაყე „ერთ ჭერქვეშ"



# ასპარეზობის გამო.

კარგა ხანია ჭადრაკის ქართველ მოყვარულებს ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი მოჭადრაკეები „ერთ ჭერქვეშ" თავმოყრილი და ასეთ ძლიერ ტურნირში ერთად მოასპარეზე არ უხილავთ.

სიმართლე ითქვას, მოგვენატრა კიდეც ასეთი რანგის საჭადრაკო შეჯიბრება და რომ არა ქალბატონ ნონა გაფრინდაშვილის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე, ვინ იცის, როდის მოგვეცემოდა ამის საშუალება.

საიუბილეო ტურნირი, რომელმაც სტარტი სწორედ ქალბატონი ნონას დაბადების დღეს, 3 მაისს აიღო, გასრულდა. მისი შედეგები ცნობილია. გაიმარჯვეს ახალგაზრდა მოჭადრაკეებმა გია გიორგაძემ და ზურაბ სტურუამ, მაგრამ ტურნირი, რომ არა დიდოსტატ ნინო გურიელის გამოთიშვა ავადმყოფობის გამო, შეიძლებოდა, სხვაგვარად წარმართულიყო. მიუხედავად ამისა, ტრაფარეტული გამოთქმა — ტურნირს დამარცხებული არ ჰყოლია, ამჯერად მართლა შეიძლება პირდაპირი მნიშვნელობით გამოვიყენოთ. საქმე ის არის, რომ თითოეული მონაწილისათვის ეს შეჯიბრება ძალთა გამოცდის ჩინებული საშუალება გამოდგა. და ეს იმიტომაც, რომ საგრძნობი იყო ტურნირის გამარჯვებულებსა და ბოლო ადგილებზე ვასულთა შორის სულ რაღაც სამქულიანი სხვაობა. დამეთანხმებით, თერთმეტკაციან ტურნირში ეს საკმაოდ ხაზგასმული მაჩვენებელია იმისა, რომ შემადგენლობა ძირითადად თანაბარი სიძლიერის იყო. ბარემ აქვე ვიტყვით საბოლოო შედეგებსაც — I-II. გია გიორგაძე, ზურაბ სტურუა 6,5-6,5 ქულა; III-IV. მაია ჩიბურდანიძე, ლაშა ჯანჯღავა 6-6 ქულა; V-VI. ქეთევან არახამია, იგორ ეფიმოვი 5-5 ქულა. VII-VIII. ქეთევან კახიანი, გენადი ზაიჩიკი 4,5-4,5 ქულა; IX. ბუხუტი გურგენიძე 4 ქულა; X-XI. ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი 3,5-3,5 ქულა.

საიუბილეო ტურნირი — ეს ლამაზი საჭადრაკო სანახაობა, უკვე გასრულდა. იგი დიდხანს იქნება დიდი საჭადრაკო ტრადიციების ქვეყნებისათვის განსჯის საგანი. იქნება იმიტომ, რომ მსოფლიოში პირველი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირიდან (ჩატარდა 1851 წელს) დაწყებული დღემდე ჯერ არ ჩატარებულა ტურნირი, მატჩი, სადაც მონაწილის ვინაობის მაუწყებელ ფირნიშზე მოჭადრაკის მხოლოდ სახელი იქნებოდა დაწერილი.

და ეს პირველად მოხდა ჩვენთან, საქართველოში. იუბილარის მაგიდა ყოველ ტურში დარბაზის ცენტრში იდგა და მას ლამაზად გამოყვანილი წარწერა ამშვენებდა — „ნონა".

ცხადია, ბევრი რამ იკითხება ამ ფაქტს მიღმა. ესაა ის პატივი, ის სიყვარული, ის სითბო, რაც ჩვენ ყველამ უნდა მივაგოთ დიდებულ ქალბატონს. ფაქტია, რომ ქართველი ხალხი მხოლოდ იშვიათი სიყვარულის, ღვაწლის დასტურად თუ მიაგებს ამგვარ პატივს გამორჩეულ მამულიშვილს, თითზე ჩამოსათვლელი გვყავს ასეთი სახელის მქონენი, მაგრამ ყველამ ვიცით, ვინც იგულისხმება — შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი...

და კიდევ ერთი საკითხიც — კარგი იქნებოდა, რომ საიუბილეო ტურნირი ნონა გაფრინდაშვილის სახელობის ჭადრაკის რესპუბლიკურ სასახლეში დამთავრებულიყო. იმედია, მიმიხვდით, ჭადრაკის ამ მართლაცდა დიდებულ სასახლეს ნონას სახელი უფრო დაამშვენებდა.

მე ძალიან კარგად მესმის ამ იდეის მოწინააღმდეგეებისა, რომ თითქოს ცოტა უხერხულია ცოცხალი პიროვნების სახელის მინიჭება ამა თუ იმ დაწესებულებისთვის, ორგანიზაციისათვის, მაგრამ არც ესაა სწორი. ბოლოს და ბოლოს ოდესმე ხომ უნდა დავარღვიოთ ამგვარი ტრადიცია და ერთხელ მაინც მოვეფეროთ ღირსეულ ქართველს, მამულიშვილს სიცოცხლეშივე, მით უფრო, როცა ამგვარ „მოფერებას" ის ნამდვილად იმსახურებს.

**გიგლა გოგეჩია**

**რედაქციისაგან: ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამ წინადადებას მხარს დაუჭერენ სათანადო ორგანიზაციები, ისინი, ვისაც ამის უშუალო გადაწყვეტა შეუძლიათ. იმედია, არც ფართო საზოგადოებრიობა დაიშურებს გამოხმაურებას. ჩვენ სიამოვნებით მივცემდით მათ აზრის გამოთქმის საშუალებას.**

# ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობისა...

**ნოდარ** ჯანგირაშვილი... 9 აპრილს მან საბოლოოდ მოიხადა მამულიშვილური ვალი მთელი ერისა და ქვეყნის წინაშე, საქართველოსათვის. იმ ტრაგიკულ ღამეს ხომ ჩვენი სახელოვანი წინაპრების დარად უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თავდაუზოგავად იბრძოდა სხვათა სიცოცხლის გადასარჩენად, იხსნა კიდეც, ოღონდ საკუთარი თავგანწირვის ფასად...

უდროოდ შეწყდა ახალგაზრდა კაცის სიცოცხლე, მაგრამ რაც მოასწრო, ყველაფერი დაუვიწყარი დარჩა. ამიტომაც არის ნოდარ ჯანგირაშვილის სახელთან დაკავშირებული საქმეთა სია საკმაოდ გრძელი, — სპორტული ბიბლიოთეკის შექმნა, საფეხბურთო ლატარიის შემოღება, მუხიანის სტადიონის სამხედრო ნაწილისაგან დახსნა და ხალხის სამსახურში ჩაყენება, ქართული სპორტის მუზეუმის ახალი ექსპონატებით გამდიდრება, საზოგადოება „შევარდენის" სიჯანსაღისა და სპორტის რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის შექმნა, რესპუბლიკის გარეთ ქართული სპორტის პროპაგანდა და სხვა... მისი თაოსნობითვე ჩაეყარა საფუძველი გადასასვლელი ხიდის მშენებლობას, რომელიც დიღუბეში მდებარე „შევარდენის" მძლეოსნობის სასახლეს ნაძალადევის ბავშვთა კალათბურთის ცენტრს დააკავშირებს.

ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობის სპორტულ-გამაჯანსაღებელი რესპუბლიკური მნიშვნელობის ცენტრის ამოქმედების მიზნით 1990 წლის 21 სექტემბერს თიანეთის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომმა გამოიტანა გადაწყვეტილება მისი წესდების რეგისტრაციაში გატარების შესახებ. ტერიტორიაც შეირჩა — თიანეთის კულტურისა და დასვენების პარკი (ე. წ. „ჯუჯანას ბაღი"), მაგრამ ამაზე შორს საქმე აღარ წასულა. არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ვალში ვართ ნოდარ ჯანგირაშვილის ნათელი ხსოვნის წინაშე. თანაც, ამ კომპლექსის ამოქმედება ხელს შეუწყობს როგორც რაიონის მოსახლეობის ჩაბმას სპორტულ-გამაჯანსაღებელ საქმიანობაში, ისე რესპუბლიკის სპორტსმენებისათვის დასვენების, მკურნალობისა და ჯანმრთელობის გაკაჟებისათვის საჭირო პირობების შექმნას.

არ შეიძლება დიდი მადლიერების გრძნობით არ აღვნიშნოთ, რომ ამ საშვილიშვილო საქმეში დღეს სერიოზულ დახმარებას გვიწევს საქართველოს ეროვნული სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭო, ნოდარი ხომ სწორედ ამ საზოგადოებაში აღიზარდა და დავაჟკაცდა. იმედს გამოვთქვამთ, რომ „შევარდენს" სხვებიც ამოუდგებიან მხარში, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული ცენტრის ამოქმედებას და, ამასთან, დიდი პატივი იქნება ნოდარ ჯანგირაშვილის ხსოვნისთვისაც.

შეგახსენებთ, რომ თიანეთის „აგრობანკთან" გახსნილია ცენტრის საბანკო ანგარიში, რომლის ნომერია 70060.

**ზიგა ცომაია.**

**ნოდარ ჯანგირაშვილის სახელობის თიანეთის სპორტულ-გამაჯანსაღებელი რესპუბლიკური მნიშვნელობის ცენტრის პრეზიდენტი**

# მორიგი წარმატება

**უკრაინაში,** ქალაქ ბერდიანსკში ამ რამდენიმე ხნის წინათ გაიმართა საერთაშორისო ტურნირი — „აზოვის ზღვის თასის" გათამაშება ათლეტიზმის ერთ-ერთ სახეობაში — ძალისმიერ სამჭიდში.

„აზოვის ზღვის თასი", სხვა სტუმრებთან ერთად, უძლიერეს ამერიკელ ათლეტებსაც ელოდა, მაგრამ არასახარბიელო ორგანიზების გამო ამერიკელებმა ვერც თავის დროზე მიიღეს მოწვევა და ვერც ჩამოსვლა შეძლეს. ამავე მიზეზით ვერ ჩამოვიდა მსოფლიოს ჩემპიონი — ფინეთის ათლეტთა ნაკრები გუნდიც.

საქართველოს ათლეტთა ნაკრები გუნდი ამ შეჯიბრებაზე უძლიერესი შემადგენლობით გამოდიოდა: ივანე ამონაშვილი (56 კგ), მამუკა შენგელია (60 კგ), დავით ბეჟანიშვილი (82,5 კგ), სოლომონ ჩეკურიშვილი (90 კგ), ალექსანდრე აბულაძე (100 კგ), მამუკა მიქაძე (100 კგ) და გუნდის კაპიტანი, შოთა ბეჟაშვილი (125 კგ-ს ზემოთ). ამ ტურნირში მონაწილეობდა აგრეთვე ცირველი ქართველი ათლეტი ქალი, 18 წლის ეკა ხიზანიშვილი (52 კგ), რომელმაც ქალთა ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა და ცალკეულ მოძრაობებსა და სამჭიდის ჯამში ოთხი მედალი მოიპოვა.

ქართველმა ათლეტებმა დაამარცხეს მოსკოვის, ლენინგრადის, რსფსრ, უკრაინის, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ყაზახეთის, ბელორუსიისა და სხვა უძლიერესი კოლექტივები და გუნდურ ჩათვლაში „აზოვის ზღვის თასი" მოიპოვეს. პირად ჩათვლაში კი ქართველმა ათლეტებმა თერთმეტსავე წონით კატეგორიაში მოიპოვეს 13 ოქროს, 11 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი.

აბსოლუტური შედეგი აჩვენა შოთა ბეჟაშვილმა, რომელმაც სამჭიდის ჯამში 915 კგ. მოაგროვა, ხოლო კლასიკურ წოლჭიმში 13 კგ-ით გადააჭარბა ფინელი მსოფლიოს ჩემპიონის, ჰანნუ საარელაინენის ევროპის რეკორდს.

საქართველოს ათლეტთა ნაკრებ გუნდს ხელმძღვანელობდა ქართული ათლეტიზმის დიდი მოამაგე ვაჟა კურკუმული, ხოლო ბრძოლას წარმართავდა გუნდის მთავარი მწვრთნელი ზურაბ ჭავჭანიძე.

სპეციალისტების აზრით, ქართველ ათლეტთა ტრიუმფალურ სვლას მსოფლიოში მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ფინეთის პროფესიონალ ათლეტთა ნაკრები გუნდები თუ დაუდგებიან. მათთან შეხვედრა დაიგეგმება ამა წლის დეკემბერში ესტონეთის ქალაქ კოხტლა-იარვეში, სადაც დაკანონდა ევროპის საერთაშორისო ფედერაციის სტატუსით მოქმედი ყველაზე პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირი „დიდი დათვის პრიზი". მიმდინარე წლის დეკემბერში ევროპის ყველა ქვეყნის ათლეტთა გუნდთან ერთად „დიდი დათვის პრიზზე" იბრძოლებენ კანადისა და ამერიკის გუნდებიც. ევროპის საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, ფინელი ბიორნ სიორენსენის დიდი დახმარებით საქართველოს ათლეტთა ნაკრები გუნდი „დიდი დათვის პრიზზე" პერსონალურად არის მოწვეული იმ შემთხვევაშიც კი, რომც ვერ მოხდეს საქართველოს გაწევრიანება ევროპის საერთაშორისო ფედერაციაში ამა წლის ივლისის კონფერენციაზე. ქართველი ათლეტები სპეციალური პროგრამით მოემზადებიან ამ შეხვედრისათვის. გუნდში, სარეზერვო შემადგენლობის შექმნის მიზნით, დამატებით წევრებად მიწვეულნი არიან საქართველოს ჩემპიონები, სპორტის ოსტატები დავით დავითური, ვლადიმერ ზედიაშვილი და ვლადიმერ ნიკოლაიშვილი.

**მარინა ბაბილაიძ**

სპორტი

**გამოგვეხმაურეთ!**

„ახალგაზრდა ივერიელის" რედაქცია თხოვნით მიმართავს 1918 წლის 26 მაისის საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელისმომწერთა ოჯახის წევრებსა და ახლობლებს, გამოგვეხმაურონ. ჩვენთვის საინტერესოა მათი მოგონებები, მათ ხელთა არსებული დოკუმენტები, საარქივო თუ სხვა სახის მასალები, რომლებიც უთუოდ დაგვეხმარება ჩვენი ერისთვის ამ უდიდესი ისტორიული დღის მნიშვნელობის უფრო დეტალურად წარმოჩენაში. ჩვენთვის საინტერესოა ყველა ნიუანსი, ყველა ფაქტი. საინტერესო იქნება აგრეთვე ისიც, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ შემდგომ პერიოდში დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმომწერების ოჯახები, მათი ახლობლები.

იმედია, ჩვენს თხოვნას უყურადღებოდ არ დატოვებთ და გამოგვეხმაურებით!

**საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის**

# განცხადება

1991 წლის 30 მაისს, ხუთშაბათს, საქართველოს დედაქალაქში, შოთა რუსთაველის მოედანზე, კინოს სახლის წინ ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიისა და მონარქისტულ-კონსერვატორული პარტიის ინიციატივით გაიმართება სახალხო მანიფესტაცია. მანიფესტაცია დაიწყება 17 საათზე.

ხსენებული მასობრივი პოლიტიკური ღონისძიებების დროს განსახილველად გამოვა შემდეგი უმნიშვნელოვანესი ეროვნულ-პოლიტიკური საკითხები:

1. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და საოკუპაციო ჯარების სრული შემადგენლობით გაყვანა;
2. ანტისაოკუპაციო მოძრაობისა და ფრონტის შექმნა, როგორც განმათავისუფლებელი მოძრაობის პოლიტიკურ ორგანიზაციული სტრუქტურებისა;
3. ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში შექმნილ სახელმწიფო ხელისუფლებასთან და კანონმდებლობასთან დამოკიდებულების განსაზღვრა;
4. პოლიტპატიმრების განთავისუფლება;
5. სიტყვის, პრესისა და მასობრივი საინფორმაციო საშუალებათა გამოყენების თავისუფლების შეუზღუდველი განხორციელება;
6. კერძო საკუთრების დაშვება და ძირეული ეკონომიკური რეფორმების პრობლემა.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი.

# პატივცემულო მკითხველო!

მე, გურამ პეტრიაშვილი გიწვევთ **დღეს, 28 მაისს, 19 საათსა და 30 წუთზე საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შეხვედრაზე.**

ეს იქნება ჩემი ერთგვარი ანგარიში მკითხველებისა და მაყურებლების წინაშე.

ვიწვევ არა მხოლოდ იმათ, ვისაც მოსწონს ჩემი ლექსი, ზღაპარი, წერილი თუ კინოში ნათამაშევი როლები, არამედ იმათაც, ვისაც ჩემი არაფერი წაუკითხავს, მაგრამ მაინც არ მოვწონვარ. მნახონ და მერე განსაჯონ, თუ ვინა ვარ და — როგორი.

შეხვედრის ბოლოს გულწრფელად ვუპასუხებ მაყურებლის ყველა კითხვას. არ ვუპასუხებ მხოლოდ იმ კითხვებს, რომლებიც ჩემი ან სხვისი პიროვნების ღირსებას შეეხება.

შეხვედრის შემოსავალი მთლიანად გადაეცემა მიწისძვრით დაზარალებულთ.

**გურამ პეტრიაშვილი**

## აბიტურიენტთა საყურადღებოდ!

სამეცნიერო-ტექნიკური კოოპერატივი „ინჟინერი“ აწყობს აბიტურიენტთა სწავლებას ერთთვიან სკოლაში, სკოლის მონაწილეები იცხოვრებენ კომფორტაბელურ სასტუმრო „ბახტრიონში“ (კვებით). აბიტურიენტები გაივლიან მისაღები გამოცდებით გათვალისწინებულ პროგრამას მათემატიკასა და ფიზიკაში. დანარჩენ საგნებში, აგრეთვე არჩეულ სპეციალობებში, ჩაუტარდებათ კონსულტაციები, საუბრები, სწავლებას აწარმოებენ მაღალკვალიფიციური პედაგოგები. სწავლება ფასიანია. სკოლის დაკომპლექტების საბოლოო ვადაა 5 ივნისი. სწავლების ვადაა 15.06-15.07.

ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე.

თბილისი 380053, გლდანის რაიონი, წყალსადენის ქ. № 7. ტურისტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი „ბახტრიონი“ (აბიტურიენტთა სკოლა). ტელეფონი: 62-62-62, ყოველდღე 11-დან 16 საათამდე.

●

თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში არსებული „კომპიუტერული სკოლა“ აცხადებს მსმენელთა მიღებას. სწავლა ორ საფეხურიანია.

1-ელ საფეხურზე მიიღებიან დამწყებნი, რომლებიც დაეუფლებიან პერსონალურ კომპიუტერზე მუშაობის თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ ჩვევებს. სწავლის ხანგრძლივობა თვენახევარია, სწავლის ფასი 800 მან. ორგანიზაციებისათვის, 500 მან. კერძო პირთათვის.

მე-2 საფეხურზე შეისწავლება პროგრამული ენები, ტექსტური რედაქტორები, მონაცემთა ბაზებთან მუშაობის სპეცპროგრამები (Dbase, Rbase, Foxbase), ოპერაციული სისტემები და სხვადასხვა უტილიტები. სწავლის ხანგრძლივობა 1,5-3 თვე, ღირებულება ორგანიზაციებისათვის 1000-2000 მან. კერძო პირებისათვის 800-1600 მან.

სწავლა 10 ივნისიდან იწყება.

მისამართი — თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 11, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამეცნიერო ბიბლიოთეკა (მაღლივ კორპუსთან), სართული მე-5, ოთახი 506.

●

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული შემოქმედებითი ფირმა „ლოგოსი“ აცხადებს ხელმოწერას გამოცემათა სერიაზე: „ბერძნული მითების სამყარო“. ცნობილი ქართველი ელინისტები ანტიკურ წყაროებზე დაყრდნობით ყმაწვილებს მოუთხრობენ მიმზიდველ მითებს ძველი საბერძნეთის ღმერთებსა და გმირებზე, ციისერთა და მოკვდავთა საქმეებზე. თითოეული წიგნი დასურათდება ანტიკურ ეპოქაში შექმნილი პლასტიკური თუ ფერწერული შედევრების ფერადი ილუსტრაციებით.

სერიის გამოცემა განხორციელდება 20 წიგნად და დასრულდება 1996 წელს. პირველი წიგნები მკითხველებს მიეცემა 1992 წელს. თითოეული წიგნის სავარაუდო მოცულობაა 5-8 თაბახი. ხელისმოწერის ღირებულებაა 8 მანეთი.

ხელმოწერა იწარმოებს „საქწიგნისა“ და სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიებში.

## ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმღები კომისია აცხადებს:

1. ჟურნალისტიკის სპეციალობაზე შემსვლელნი ვალდებული არიან მონაწილეობა მიიღონ შემოქმედებით კონკურსში.

2. ჟურნალისტიკის სპეციალობაზე შემსვლელმა აბიტურიენტებმა შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობის უფლების მოსაპოვებლად განცხადებასა და სხვა დოკუმენტებთან ერთად მიმღებ კომისიას უნდა წარმოუდგინონ მათ მიერ პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული ან რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული მასალები არა ნაკლებ ხუთისა. პერიოდულ პრესაში გამოქვეყნებული მასალები წარმოდგენილი უნდა იქნეს ამონაჭერთა სახით (ფოტოპუბლიკაციების დუბლირება შეიძლება ორიგინალებით), ხოლო რადიო და სატელევიზიო მასალები კი — სათანადო რედაქციის ხელმძღვანელის ხელმოწერითა და ბეჭდით დამოწმებული (მანქანაზე გადაბეჭდილი).

წარმოდგენილ მასალებს აფასებს ორი რეცენზენტი (პირველი — ჟურნალისტი-პრაქტიკოსი, მეორე — ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პედაგოგი). რეცენზენტებს ამტკიცებს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი.

ის აბიტურიენტები, რომელთა ნაშრომები დაიმსახურებენ დადებით შეფასებას, სათანადო დასკვნის საფუძველზე დაიშვებიან შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. შემოქმედებით კონკურს ატარებს საკონკურსო კომისია ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანის თავმჯდომარეობით, ფაკულტეტის წამყვანი პედაგოგებისა და გამოცდილი ჟურნალისტების შემადგენლობით.

შემოქმედებითი კონკურსი ტარდება ორ ტურად: პირველი — წერითი სამუშაო სპეციალური მეთოდიკით, მეორე — გასაუბრება ტესტებით.

3. ჟურნალისტიკის სპეციალობაზე შემსვლელთა საბუთები მიიღება 5 ივნისის ჩათვლით.

4. შემოქმედებითი კონკურსი ჩატარდება 6 ივლისიდან 12 ივლისამდე ჟურნალისტიკის ფაკულტეტის მიერ სპეციალურად დადგენილ ვადებში.

აბიტურიენტები, რომლებიც წარმატებით გაივლიან შემოქმედებით კონკურსს, დაიშვებიან მისაღებ გამოცდებზე.

ჟურნალისტთა კავშირის წევრები თავისუფლდებიან შემოქმედებით კონკურსში მონაწილეობისაგან.

## თბილისის № 182 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი აცხადებს

**მოსწავლეთა მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:**

**1. ზეინკალ-მეიარაღე;**

**2. ხარატი;**

**3. ქიმიური ანალიზის ლაბორანტი;**

**4. ავტომატური და ნახევრადავტომატური ჩარხებისა და დანადგარების ოპერატორი;**

**5. პლასტმასის ნამზადის მწნეხავი;**

**6. ელექტროაირშემდუღებელი.**

სწავლა იწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე. სასწავლებელში პირველ ორ სპეციალობაზე ჩარიცხულთ მიეცემათ სტიპენდია თვეში 80 მანეთამდე და 40 მანეთი კომპენსაცია. აგრეთვე საწარმოო პრაქტიკის დროს გამომუშავებული თანხის 50 პროცენტი. წარჩინებულებს მიეცემათ სტიპენდია 25 პროცენტის გადიდებით. კურსდამთავრებულები განაწილდებიან თბილისის სათავო ქარხანა „გამთიშველებში“, მის ფილიალებში ჭიათურა-ხარაგაულში „ელექტროშემდუღებელში“. 4-5 წელიწადში დაკმაყოფილდებიან ბინით. დემობილიზებულნი სარგებლობენ უპირატესობით. კურსდამთავრებულებზე განხორციელდება ახალგაზრდა სპეციალისტებზე დადგენილი კანონმდებლობა. სასწავლებელს აქვს თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღჭურვილი სპორტული დარბაზი, სადაც მოქმედებს სხვადასხვა სპორტული — ჯიუ-ჯიცუს, უშუს და კარატეს სექციები. იმართება ვიდეო ფილმების ჩვენება, დისკოთეკები. სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მონაცემებისა და სურვილის მიხედვით გაერთიანდებიან სასწავლებლის როკ-ანსამბლში.

სასწავლებლის კურსდამთავრებულნი უმაღლეს სასწავლებელში შესვლის დროს სარგებლობენ უპირატესობით პროფილის, ან მონათესავე პროფილის მიხედვით დადგენილი წესით. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

რაიონებიდან ჩამოსულები ჩაირიცხებიან მომართვების საფუძველზე. სწავლის ვადაა 10 თვე, დემობილიზებულთათვის 6 თვემდე.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

**1. საშუალო სკოლის ატესტატი (დედანი);**

**2. დაბადების მოწმობა (დედანი);**

**3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286 ან 086);**

**4. ავტობიოგრაფია;**

**5. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;**

**6. ფოტოსურათი 6 ცალი (ზომით 3X4);**

**7. შრომის წიგნაკი;**

**8. პასპორტს წარმოადგენენ პირადად.**

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, მარნეულის ქ. 37, ტრანსპორტი: ავტობუსები № 23, 162, 157. სამარშრუტო ტაქსი № 43, ბარათაშვილის ქუჩიდან, გაჩერება — ფონიჭალის ბაზარი.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სასწვლებლის დირექციას.

ტელეფონი: 72-52-51, შიდა: 3-63 ან 3-64.

**სასწავლებლის დირექცია**

## საქართველოს რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტრო თბილისის № 27 პროფტექნიკური სასწავლებელი აცხადებს

**მოსწავლეთა მიღებას 1991-92 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:**

**1. ფეხსაცმლის ინდივიდუალური მკერავი;**

**2. ფეხსაცმლის ზედაპირის ამკრეფი.**

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე ქალიშვილები და ჭაბუკები, როგორც უშუალოდ სკოლიდან, ასევე კოოპერატივებიდან მომართვით.

რაიონებიდან ჩამოსულ საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდებს, ესაჭიროებათ მომართვა, რის საფუძველზეც სწავლის დამთავრების შემდეგ განაწილებულნი იქნებიან სამუშაოდ თავიანთი საცხოვრებელი რაიონების მიხედვით.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 30 მან. ოდენობით, ამასთანავე საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის პერიოდში გამომუშავებული თანხის 50 პროცენტს.

სასწავლებელში სწავლების ვადა 10,5 თვეა საშუალო განათლების მქონეთათვის, ხოლო არასრული საშუალო განათლების მქონეთათვის 2 წელი და ითვლება მუდმივ სამუშაო სტაჟად.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ კურსდამთავრებულებს ენიჭებათ კვალიფიკაცია და ეძლევათ დიპლომი. ისინი უზრუნველყოფილი იქნებიან სამუშაო ადგილით პროფესიისა და თანრიგის შესაბამისად, ფეხსაცმლის საწარმოო გაერთიანება „ისანში“ და ასევე ფეხსაცმლის შემკერ კოოპერატივებში.

სწავლება წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე:

მსურველებმა განცხადება უნდა შემოიტანონ დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით:

**1. ატესტატი (დედანი);**

**2. სამედიცინო ცნობა ფორმა № 086-უ;**

**3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;**

**4. ფოტოსურათი ზომით 3X4 სმ, 6 ცალი;**

**5. დახასიათება;**

**6. დაბადების მოწმობა (დედანი);**

**7. პასპორტი წარდგენილი უნდა იქნეს პირადად;**

**8. შრომის წიგნაკი ან ცნობა რომ არსად არ უმუშავია;**

**9. მომართვა (რაიონებიდან ჩამოსულთათვის).**

**სწავლება დაიწყება 1 სექტემბერს.**

საბუთების მიღება წარმოებს ყოველდღე 9 საათიდან 17 საათამდე, გარდა შაბათისა და კვირისა.

სასწავლებლის მისამართია: თბილისი, ბ. ხმელნიცკის ქ. № 42.

**ტრანსპორტი:** მეტრო „ისანიდან“ ტრამვაი № 7, ავტობუსი № 51, სამარშრუტო ტაქსი, № 21, სამარშრუტო ტაქსი № 57, თავისუფლების მოედნიდან: სამარშრუტო ტაქსი № 10 და ავტობუსი № 16.

ტელეფონები: 74-72-26, 74-72-57, 74-75-36.

**სასწავლებლის დირექცია.**


პირველად

# სავალუტო აუქციონი

**საქართველოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ბანკი**

**თბილისის უნივერსალური ბირჟა**

## იწვევენ

ორგანიზაცია — დაწესებულებებს, საწარმოებს, კოოპერატივებს და სხვა იურიდიულ პირებს

## გაყიდონ ან შეიძინონ ვალუტა

აუქციონში მონაწილეობის შესახებ და დამატებით ცნობებზე მიმართეთ საუქციონო კომიტეტს მისამართით:

თბილისი, 9 აპრილის ქ. 5, ტელ. 98-71-09

(კერძო პირები აუქციონში არ მონაწილეობენ)




# აღორძინება არგო

გვერდის სპონსორები არიან საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინება“ და ამავე ასოციაციის ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კერძო ტაქსების საყურადღებოდ!**

კოოპერატივი „სავანე“ იწვევს სამუშაოდ კერძო ტაქსების მძღოლებს. გადასახადი მინიმალურია — თვეში 30 მანეთი.

მისამართები:

**1) გლდანის რ-ნი, V მიკრორაიონი, აგროსამრეწველო ბანკის მიმდებარე ტერიტორია. წითელი ჯიხური წარწერით „სავანე“.**

**2) ბუდაპეშტის ქუჩა № 1, საქველმოქმედო ასოციაცია „აღორძინების“ შენობა.**

**კოოპერატივი „სავანე“.**

---

ფირმა „ჰუმანიზმი“-ს სერვის-ბიურო გთავაზობთ საშუამავლო მომსახურეობას:

1. ბინების ყიდვა-გაყიდვას, გაცვლას, გაქირავებას, დაგირავებას;

2. იმპორტული და სამამულო წარმოების ტელე-ვიდეო აუდიო აპარატურის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ავტომანქანების, ავეჯის ყიდვა-გაყიდვას, გაცვლას, გაქირავებას.

მსურველებმა მიმართეთ სერვის-ბიუროს. თქვენი ნატვრა რეალობად იქცევა.

**მისამართი: ლერმონტოვის ქ. № 19.**

**ტელ. 93-20-76**

---

ძვირფასო რედაქცია, ნება მოგვეცით თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვხატოთ მადლიერების გრძნობა სამედიცინო კოოპერატივ „მკურნალის“ კოლექტივისადმი, რომლის მდებარეობა და მუშაობის საათები ხელსაყრელია ყველა პაციენტისათვის — **მეტრო „300 არაგველი“, ქალაქის პირველი კლინიკური საავადმყოფო. ტელ. 74-47-75. მუშაობის საათები 16$^{30}$-დან 19$^{00}$-მდე, შაბათს 10$^{00}$-დან 13$^{00}$-მდე.**

პაციენტების მიმართ მათი გულისხმიერი დამოკიდებულება, ღრმა პროფესიონალიზმი და სითბო იმედით აგავსებს და გაფიქრებინებს, რომ ჩვენს ჯანმრთელობას ემსახურებიან ადამიანები, რომელთაც არ დაუკარგავთ პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელთათვის უპირველესი მოვალეობაა სამკურნალოდ შემოსულთა უმაღლეს დონეზე მომსახურება.

დღეს, სრულიად განკურნებულს, როდესაც გვახსენდება რა გაჭირვებამ მოგვიყვანა მასთან, გვინდა დიდი მადლობა გადავუხადოთ „მკურნალის“ თავმჯდომარესა და სულის ჩამდგმელს, ბატონ **მერაბ მშვილდაძეს** ასეთი მაღალკვალიფიციური და გულისხმიერი კოლექტივის ჩამოყალიბებისათვის.

„მაწუხებდა ტკივილი წელის არეში, თავბრუსხვევები, სახსრების ტკივილი, ქალის შიდა წნევა. ჩემს მეუღლეს — ღვიძლი და გული. ჩავიტარეთ „მკურნალში“ სათანადო გამოკვლევები და მკურნალობა, რამაც ძალიან დიდი შედეგი გამოიღო. იქვე გავიცანით ავადმყოფები რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, რომლებიც ჩვენსავით კმაყოფილები იყვნენ მკურნალობის შედეგებით.

გაოცებულები დავრჩით ყველა, როდესაც ექსტრასენსმა **ინა კარახანმა** ჩვენს თვალწინ 10 წლის გოგონას რამდენიმე სეანსის შემდეგ შეუწყვიტა ღამის შარდვა. 8 წლის ბიჭუნას კი, რომელსაც ჰქონდა მეტყველების მოშლა, მეტყველება გაუსწორა.

კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოვახსენებ გულისხმიერ მკურნალებს.

მადლიერ ავადმყოფთა ჯგუფი.

---

**მცირე საწარმოს შექმნის მსურველთა საყურადღებოდ!**

საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი“ უმოკლეს ვადაში შეიმუშავებს თქვენთვის კერძო (საოჯახო), კოოპერაციული, საიჯარო, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების და სხვა ფორმის მცირე საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტაციას და დაიცავს თქვენს ინტერესებს საწარმოს მარეგისტრირებელ სახელმწიფო ორგანოებში.

ჩვენი მისამართია: **380007, ქ.თბილისი, ლერმონტოვის ქ. №18, IV სართული, საინფორმაციო-საკონსულტაციო ფირმა „კოლხა-კონსულტი“**

ტელეფონები: **99-02-76, 93-99-70**

**12 საათიდან 17 საათამდე.**

---

**ყურადღება!**

თუ თქვენ გსურთ ბავშვების აღმზრდელის, მოხუცების, ავადმყოფების მომვლელის ბინაზე აყვანა, მიმართეთ ფირმა **„ჰუმანიზმის“** სერვის ბიუროს.

მისამართი: ლერმონტოვის ქ.№19 (თავისუფლების მოედანთან).

ტელეფონი: 93-20-76

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

---

**ვაქირავებ**

საკუთარ სახლს ეზოთი აჯალაში — კოოპერატივებისათვის. ცნობებისათვის დარეკეთ 22-35-07 15$^{00}$-დან 23$^{00}$-მდე.

---

**მამაკაცთა საყურადღებოდ**

ოჯახური უსიამოვნება, დეპრესია, სასოწარკვეთილება, ხშირად მოსდევს სქესობრივ მოშლილობებს.

თუ გსურთ დაიბრუნოთ რწმენა საკუთარ ძალებში, კვლავ იყოთ ჯანმრთელი, მხნე და შრომისუნარიანი მიმართეთ კოოპერატივ „კონტაქტს“.

**პატივცემულო მამაკაცებო!**

მხოლოდ ჩვენთანაა დანერგილი იმპოტენციის (მამაკაცის სქესობრივი უძლურობა) მკურნალობა ერექტორით-მეთოდით, რომელიც მიუხედავად იმპოტენციის გამომწვევი მიზეზებისა და პაციენტის ასაკისა გამოირჩევა მაღალი შედეგიანობით.

ჩვენთან დანერგილი ლაბორატორიული გამოკვლევები, მკურნალობის კომპლექსურობა (ელექტროთერაპია, მედიკამენტოზური, აპითერაპია, ბიოველი, წერტილოვანი მასაჟი და სხვა) ასევე საშუალებას იძლევა პროსტატის მაღალ შედეგიან მკურნალობაში.

მოგვმართეთ მისამართით: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 49ა, (სპორტსახკომის შენობა) II სართული. ოთახი: 9-10-11. ტელეფონი 22-55-71.

მიღება: სამუშაო დღეებში 19-დან 21 სთ-მდე.

შაბათ-კვირას 10-დან 12 სთ-მდე.

მკურნალობა ანონიმურია.

სარეკლამო სააგენტო „არგო-ბლიკი“

---

**საფირმო კოოპერატივი „ექსტრა“**

საუკეთესო პირობებს სთავაზობს ყველა დაინტერესებულ მძღოლს, მგზავრთა გადასაყვანად. ხელშეკრულების გაფორმება შეგიძლიათ ყოველდღე: დილის 9 სთ-დან საღამოს 20 საათამდე. კოოპერატივი გადასახადის 50%-ის შემცირებით, შეღავათიან ფასებში ამუშავებს პენსიონერებს, მრავალშვილიან მძღოლებს და ინვალიდებს. შრომის წიგნაკით გაფორმებულ მძღოლებს სამუშაო დრო ეთვლებათ უწყვეტ სამუშაო სტაჟად. კოოპერატივში ექვსი თვის სტაჟის მქონე ყველა შეთავსებით მომუშავე მძღოლს უფლება ეძლევა ერთი თვე იმუშაოს საწევრო შესატანის გარეშე, რის ხარჯებსაც კოოპერატივი ღებულობს თავის თავზე. დაწვრილებითი და დამატებითი ცნობებისათვის მოგვმართეთ მისამართზე: გუდაუთის ქ. №5 (დიდუბე, პარფიუმერიის ფაბრიკა „ივერიასთან“, აგრომრეწვის გარაჟის წინ).

---

ფირმა „ჰუმანიზმი“ მუდმივ სამუშაოზე იწვევს მდივან-მემანქანეს მაღალი ანაზღაურებით.

ჩვენი მისამართია: **ლერმონტოვის ქ. №19.**

**ტელ: 93-20-76.**

---

**კოოპერატივი „ფუნდამენტი“ ჰყიდის:**

1. ქუჩაში დასაყენებელ მოძრავ ბარს;
2. უჟანგავი ლითონის ახდილ ჭურჭელს;
3. ღვინის ჩამოსასხმელ აგრეგატს;
4. ნაყინის ჭიქების დასამზადებელ ლუმელს;
5. რბილი ნაყინის აგრეგატ „პოლუსს“;
6. ფუტკრის სკებს.

**კოოპერატივის მისამართია: ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი №8.**

**ტელ. 2-54-78, 2-62-73.**

---

**ვაქირავებ**

ზაფხულის სეზონისათვის ოთახს ოქროყანაში.

დარეკეთ:

**72-08-82**

---

**ფირმა „გლობუსი“**

**თურქეთში წამსვლელთა საყურადღებოდ**

სატრანსპორტო-ტურისტული ფირმა „გლობუსი“ მოქალაქეებს სთავაზობს მოგზაურობას თურქეთის რესპუბლიკაში მარშრუტებით: **თბილისი — ტრაპიზონი — სამსუნი — თბილისი** (მგზავრობის ხანგრძლივობაა 5 დღე), **თბილისი — სტამბული — თბილისი** (მგზავრობის ხანგრძლივობა 7 დღე).

ანგარიშსწორება წარმოებს, როგორც ნაღდ ანგარიშზე, ისე გადარიცხვით.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ ფირმა „გლობუსს“ მისამართზე: **კანკავას ქ. №3 (საბჭოს ქ. 12-თან).**

**ტელ: 96-94-49.**

---

ახალგაზრდული მრავალდარგოვანი საწარმოო-შემოქმედებითი რესპუბლიკური გაერთიანება „ინიციატივა“

1 ივნისიდან მოსკოვში, ლენინგრადში წამსვლელებს სთავაზობს სასტუმროების დაჯავშნას მოსკოვში სასტუმრო „კოსმოსში“ ლენინგრადში სასტუმრო „პრიბალტიისკაიაში“

ასევე მსურველებს ვიწვევთ დასასვენებლად სოჭში ტურისტულ კომპლექს „დაგომისში“

მიიღება როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური განცხადებები.

ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქ, №8.

ტელეფონები: 98-84-10 ან 98-84-07

---

გაერთიანება „ინიციატივას“ ესაჭიროება მდივან-მემანქანე. შრომითი ანაზღაურება მაღალია.

ცნობებისათვის მიმართეთ შემდეგ მისამართზე: სანაპიროს ქ. №8.

ტელეფონები: 98-84-10 ან 98-84-07

---

თავისუფალი ტრიბუნა

Общественно-политическая газета

ტელეფონები: მიხალები — 93-97-31; პასუხისმგებელი მდივანი — 93-31-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი მერაბ ბალარჯიშვილი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15.

НАШ ИНДЕКС 66400

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096 მ. კოსტავას ქ. № 14.